საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყვეცა უკადრისობაზე უსამაგლესია.

სამშაბათი, 9 ოქტომბერი. 2018 წ. №200 (8601) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ირაკლი კობახიძე:

ნიკა გვარამია ხელმოცარული და უნიათო ფაშისტია

ეს განცხადება არის ხელმოცარული და უნიათო ფაშისტის განცხადება, რომელიც გასული ექვსი წლის მანძილზე არაერთგზის მწარედ დამარცხდა ქართული დემოკრატიის, ქართველი საზოგადოების და სიმართლის წინააღმდეგ ბრძოლაში, — ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ნიკა გვარამიას Facebook პოსტთან დაკავშირებით განაცხადა.

— გვინდა, გამოვეხმაუროთ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის და ამავე პარტიის კუთვნილი ტელევიზიის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას განცხადებას, რომელიც მან რამდენიმე დღის წინ თავის ფეისბუქ-გვერდზე განათავსა.

შეგახსენებთ ამ განცხადების შინაარსს: „ყველა, ვინც სალომე ზურაბიშვილს ან აფინანსებს ან კამპანიაში სხვაგვარად ეხმარება, უკიდურესად უნდა შევავიწროოთ. ყველა ეს ადამიანი უნდა დავიმახსოვროთ და გავაძევოთ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროდან, იქნება ეს ბიზნესი, კულტურა თუ პოლიტიკა. ქვეყნის მოღალატე და მისი მოკავშირეები საჩვენებლად უნდა დაისაჯონ!“

ეს ისტერიული განცხადება უსათუოდ უკავშირდება კანდიდატების არსებულ რეიტინგებს, რომელთა მიხედვითაც სალომე ზურაბიშვილი დამაჯერებლად იგებს არჩევნებს, ხოლო ნიკა გვარამიას და ნაციონალური მოძრაობის პარტიული კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე შეიძლება მეორე ადგილზეც ვერ გავიდეს.

ეს განცხადება არის ხელმოცარული და უნიათო ფაშისტის განცხადება, რომელიც გასული ექვსი წლის მანძილზე არაერთგზის მწარედ დამარცხდა ქართული დემოკრატიის, ქართველი საზოგადოების და სიმართლის წინააღმდეგ ბრძოლაში. ნიკა გვარამიას შეიძლება მართლაც აქვს იმის იმედი, რომ მის განცხადებებს რაიმე გავლენა ექნება საზოგადოების პოზიციაზე. თუმცა, საპირისპიროს ადასტურებს ხალხის და ჩვენი საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლების ფართო ჩართულობა ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო კამპანიაში.

საზოგადოება რამდენიმე დღის განმავლობაში ელოდა არასამთავრობო ორგანიზაციების მკვეთრ პოზიციას ნიკა გვარამიას ფაშისტურ განცხადებასთან დაკავშირებით. თუმცა, ასეთი გამოხმაურება არცერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელისგან არ მოგვისმენია. მეტიც, ერთ-ერთმა მათგანმა, მიხეილ ბენიძემ ნიკა გვარამიას დაცვაც კი იკადრა (ანუ უკადრებელი იკადრა), რაც უკიდურესად შემაშფოთებელია.

სამოქალაქო სექტორის როლი და სამოქალაქო საზოგადოების იდეა არის უმნიშვნელოვანესი, მათ შორის, ქართულ-ამერიკული, ქართულ-ევროპული და ზოგადად ქართულ დასავლური ურთიერთობების კონტექსტში. პერსონალიები, რომლებიც ზოგიერთ ორგანიზაციას სათავეში უდგანან, სამწუხაროდ, პოლიტიკურად ანგაჟირებულობის, ან პოლიტიკური მიკუთვნებულობის გამო აზიანებენ თავად ამ იდეას.

ჩვენი შეშფოთების საგანი სწორედ ესაა, რომ ზოგიერთი პოლიტიზებული პერსონის გამო, ზიანდება თავად იდეა და არასამთავრობო სექტორის როლი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში, რაც დაუშვებელია.

გვინდა, ხაზგასმით განვაცხადოთ - ვინც ხელს აფარებს ფაშიზმს, თავადაც არის ფაშიზმის თანამონაწილე. სამწუხაროა, რომ ასეთი ადამიანები არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს შორისაც არიან.

ქართული ფაშიზმი ჩვენ ჩავაბარეთ წარსულს 2012 წელს და ჩვენ ვართ პასუხისმგებელი იმაზე, რომ საქართველოში ის მომავალში ვეღარ გაიდგამს ფესვებს.

28 ოქტომბერს ყველამ ერთად კიდევ ერთხელ უნდა გავცეთ საკადრისი პასუხი ნაციონალური მოძრაობის ისტერიულ და უნიათო ფაშიზმს და ხმა მივცეთ ჭეშმარიტად ევროპელ და ღირსეულ კანდიდატს, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს“.

კორუფციის კონტროლი, მმართველობის ეფექტიანობა, საქართველომ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია ②

აკადემიკოსი იური ბუზიაშვილი: მსოფლიოს დღეს ფარმაცევტული კომპანიები მართავენ! ⑦

სოხუმი და თბილისი აფხაზური არქივის აღდგენაზე ერთობლივად მუშაობენ ⑧

მეტალურგიის უძველესი კერების უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები ⑤

საპატრიარქოს საგანგებო განცხადება უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ

საქართველოს საპატრიარქო განცხადებას ავრცელებს, სადაც უკრაინული ტელეარხების მხრიდან მიკერძოებული ინფორმაციის გავრცელებაზე წერს. საპატრიარქოს ცნობით, უკრაინულმა მედიამ გაავრცელა ცრუ ინფორმაცია, თითქოს საქართველოს ეკლესიამ მხარი დაუჭირა უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას. საპატრიარქოში აცხადებენ, რომ ეს სიმართლეს არ შეესაბამება:

— როგორც რუსულ, ისე უკრაინულ მედიაში პერიოდულად ჩნდება მიკერძოებული ინფორმაცია უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან მიმართებაში საქართველოს ეკლესიის პოზიციასთან დაკავშირებით და ორივე მხარე ცდილობს, ჩვენი ნათქვამი სათავისოდ წარმოაჩინოს.

მსგავს ფაქტს ჰქონდა ადგილი საქართველოს საპატრიარქოში უკრაინის რადას (პარლამენტის) თავმჯდომარის ვიზიტის შემდეგაც — უკრაინულმა არხებმა გაავრცელეს, თითქოს საქართველოს ეკლესიამ მხარი დაუჭირა უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას, რაც რეალობას არ შეესაბამება.

შესვედრაზე სტუმარმა განაცხადა, რომ ისინი ესწრაფვიან უკრაინის ერთიანი ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებას, რომელიც როგორც ხელისუფალთა, ისე მიტროპოლიტ ონოფრეს დაქვემდებარებაში მყოფ და ყველა სხვა იერარქთა მოთხოვნაზე და კანონიკურ საფუძველზე უნდა იყოს დამყარებული.

თუ ეს განხორციელდა, ბუნებრივია, მისასალმებელი მოვლენა იქნება, მაგრამ, როგორც ჩვენი მხრიდან აღინიშნა, ეს ადვილად მისაღწევი ამ ეტაპისთვის არ ჩანს; ამიტომაც აუცილებელია სიფრთხილე, რომ არ მოხდეს დაპირისპირება მოსახლეობაში და არ განვითარდეს კიდევ უფრო რთული პროცესები.

რაც შეეხება საქართველოს ეკლესიის პოზიციას ზემოთ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, იგი არის უცვლელი და, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, გულისხმობს შემდეგს: — ვიდრე საეკლესიო კანონიკის ნორმებზე დამყარებულ თავის საბოლოო ოფიციალურ გადაწყვეტილებას არ დააფიქსირებს როგორც კონსტანტინეპოლის, ისე მოსკოვის საპატრიარქო, საქართველოს საპატრიარქო შეფასებებისაგან თავს შეიკავებს“.

რა გაითვალისწინა პარლამენტმა

შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონში?

საქართველოს ბიზნესომბუდსმენმა „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატან ცვლილებებზე პარლამენტს რეკომენდაციით მიმდინარე წლის 20 აგვისტოს მიმართა.

რეკომენდაცია 4 კრიტიკულ საკითხს მოიცავდა, რომელთაგანაც 2 უკვე გათვალისწინებულია საკანონმდებლო ორგანოს მიერ. შედეგად, შრომის პირობების მაკონტროლებელი ორგანოს (შრომის ინსპექციის) არ ექნება შრომითი უფლებების დაცვის კონტროლის უფლებამოსილება და მაკონტროლებელი ორგანოს (შრომის ინსპექციის) წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობა არ იქნება სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედება.

მიუხედავად ამისა, საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი ისევ აქტიურად აგრძელებს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატან ცვლილებებზე მუშაობას, მნიშვნელოვნად მიიჩნევს კერძო სექტორის მოთხოვნებს და საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტს ახალი რეკომენდაციით მიმართავს.

ჩვენი აზრით, დაგეგმილ ცვლილებებში კვლავ რჩება 2 კრიტიკული საკითხი: „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის გავრცელება ეკონომიკის ყველა დარგზე და შრომის პირობების მაკონტროლებელი ორგანოს (შრომის ინსპექციას) უფლება შევიდეს ნებისმიერ სამუშაო ადგილას, ნებისმიერ დროს და ნებისმიერი ჯერადობით, წინასწარი შეტყობინებისა და მოსამართლის ბრძანების გარეშე.

კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ ჩვენ რა თქმა უნდა, ვიზიარებთ დაგეგმილი ცვლილებების ინიციატორთა სულისკვეთებას და ვთვლით, რომ სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ასევე არსებული და მოსალოდნელი საფრთხეების, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებისთვის შესაბამისი სისტემის შექმნა სწორედ სახელმწიფოს პრიორიტეტი უნდა იყოს, თუმცა მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული საკითხები, რომელიც ისევ რჩება შემოთავაზებული წინადადებებს შორის, დამატებით გააზრებას საჭიროებს, ვინაიდან მათი პრაქტიკაში რეალიზებისთვის არც მაკონტროლებელი ორგანო (შრომის ინსპექცია) და არც ბიზნესი ამ ეტაპზე მზად არ არის.

„ყაზტრანსგაზ-თბილისი“ ქართულმა ბიზნესჯგუფმა იყიდა

კომპანია WALTBAY LTD-მ ყაზახურ მხარესთან წელიწადზე მეტი დროის განმავლობაში მიმდინარე მოლაპარაკებები წარმატებით დასრულა.

კომპანია WALTBAY LTD-მ, რომელიც საქართველოში რეგისტრირებული მსხვილი ქართული ბიზნესჯგუფის — შპს სი ბი ეს ჯგუფის ნაწილს წარმოადგენს, უკვე მოაწერა ხელი ხელშეკრულებას და შპს ყაზტრანსგაზ-თბილისის 100%-იანი წილის მფლობელი გახდა. საზოგადოების ინფორმირებისთვის კომპანია საჭიროდ თვლის განმარტოს, რომ ოფშორში რეგისტრირებული კომპანიის მეშვეობით წილის შეძენა ყაზახური მხარის მიერ გასხვისების პროცესის ტექნიკური ნაწილის გამარტივების გამო მოხდა და ჯგუფი შპს ყაზტრანსგაზ-თბილისის წილის საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიაზე გადმოცემას უახლოვეს მომავალში განახორციელებს.

როგორც მოგეხსენებათ, 2017 წლიდან, საქართველოს მთავრობასა და ყაზახურ კომპანიას შორის საერთაშორისო არბიტრაჟში დავა მიმდინარეობდა. დავის საგანი, ყაზახური მხარის მოთხოვნის მიხედვით, ზიანის ანაზღაურება გახლდათ, რომელიც 486 მილიონ ლარს აჭარბებდა. ამასთან ერთად, იზრდებოდა შპს ყაზტრანსგაზ-თბილისის სახელმწიფოს წინაშე არსებული დავალიანება, რომელმაც 96 მილიონი ლარი შეადგინა. დამატებით, 2018 წლის 31 ივლისის მდგომარეობით, შპს ყაზტრანსგაზ-თბილისს, მფლობელი ყაზახური კომპანიების წინაშე, 347 მილიონ 721 ათას 491 ლარის ოდენობის დავალიანება ერიცხებოდა.

კომპანია WALTBAY LTD-ს მიერ ყაზახი ბიზნესმენებისთვის, შპს ყაზტრანსგაზ-თბილისის ნასყიდობათვის, წაყენებული წინაპირობა გახლდათ შპს ყაზტრანსგაზ-თბილისის სახელმწიფოს წინაშე არსებული ვალდებულებებისგან გათავისუფლება და ყაზახი კრედიტორების მხრიდან ყაზტრანსგაზ-თბილისისთვის ნასესხები 347 მილიონ ლარზე მეტი დავალიანების მოთხოვნის უფლების WALTBAY LTD-სათვის დათმობა, რაზეც ყაზახურმა მხარემ თანხმობა განაცხადა. თუმცა, თავის მხრივ, საქართველოს მთავრობამ, ყაზტრანსგაზ-თბილისის სახელმწიფოს წინაშე არსებული დავალიანების პატიების სანაცვლოდ, ყაზახური მხარისგან საერთაშორისო არბიტრაჟში არსებული საქმის საქართველოს სასარგებლოდ მორიგებით დასრულება, ხოლო კომპანია WALTBAY LTD-ს დათმობილ 347 მილიონ ლარზე მეტ მოთხოვნაზე უარის თქმა მოითხოვა, რაც საქართველოს მთავრობის განმარტებითვე, მომხმარებელთა დაცვას ემსახურებოდა. კომპანია WALTBAY LTD-მ და ყაზახმა კრედიტორებმა საქართველოს მთავრობის ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილეს, რის სანაცვლოდაც შპს ყაზტრანსგაზ-თბილისი გათავისუფლდა სახელმწიფოს წინაშე არსებული ვალდებულებისგან.

კომპანია WALTBAY LTD მზადაა მის წინაშე არსებული გამოწვევებისა და დაკისრებული სოციალური პასუხისმგებლობისათვის, რაც მოსახლეობის ბუნებრივი აირით ხარისხიან და უსაფრთხო მომარაგებას გულისხმობს.

ბედი არ გვწყალობს!

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის

კაცმა **რომ თქვას, ბედი არ გვწყალობს ქართველებს პრეზიდენტებში. ჯერ დღევანდელი მასხარა პრეზიდენტი რად ღირს, მაგრამ მის წინამორბედებს როგორ შეედრება! მწერალი ლევან მალაზონია გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ ნოე ჟორდანიას შესახებ წერდა: გაქცევა გამიგია, მაგრამ საკუთარი მზარეულით გაქცევა რა უბედურებაა!**

სწორედ ეს გახლავთ ის, რაზეც გენერალი გიორგი მაზნიაშვილი ბრძანებდა: „სამარცხვინოდ მივატოვეთ ტფილისი“ (იხ. გ. მაზნიაშვილი, „მოგონებანი“, ბათუმი 1990, გვ. 168).

ისე, ვერც ახალი დამოუკიდებლობის წლებში დაიკვეხნიან პრეზიდენტები დიდ მედგრობას: ერთი საქართველოდან გაიქცა და ამალით თავი შეაფარა მუსლიმანურ ჩეჩნეთს, მეორე კი აფხაზეთის ბრძოლას ყველაზე კრიტიკულ მომენტში განერიდა და საღ-სალამათი თბილისში დაგვიბრუნდა. აქვე ვიტყვი სააკაშვილზეც, რომელმაც 2008 წლის ომის პერიოდში გორში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად თავისივე დაცვა სახტად დატოვა და თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე სამარცხვინოდ მოქუსლა. ყველას გვახსოვს, ამ ომის შემდეგ, როგორ ტრაბახობდა იმით, რომ საქართველოდან არ გაქცეულა — მხედველობაში აშკარად გამსახურდია ჰყავდა. მაგრამ, საკითხავია, ნუთუ თავში არ მოსდიოდა, რომ მისი გაქცევა-გამოქცევა ვიღას რად უნდოდა, როდესაც მოწინააღმდეგემ დასახული ამოცანა განახორციელა და საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილზე კონტროლი დაამყარა?

ამ მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, გონიერ ქართველს, წესით, არ უნდა გაუჭირდეს იმის გადაწყვეტა, თუ ხმა ვის უნდა მისცეს და ვის — არა. ყოველ შემთხვევაში, დღეს გარკვეული საფრთხის შემცველები არიან საზღვარგარეთ მყოფი ექსპრეზიდენტის მომხრეები. ვინც მათ აქტიურად არ ებრძვის და არ ამხელს, ის ღირსი არ არის პრეზიდენტობისა.

ვიქტორ რცხილაძე,
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კორუფციის კონტროლი, მმართველობის ეფექტიანობა, საქართველომ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია

მსოფლიო **მმართველობის ინდიკატორების კვლევის თანახმად, რომელიც მსოფლიო ბანკმა თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა, საქართველო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიხედვით ლიდერ ქვეყნებს შორისაა. კერძოდ, საქართველო ევროპის საუკეთესო ოცეულში მე-19 პოზიციაზეა და უსწრებს ევროკავშირის წევრ 13 სახელმწიფოს, როგორიცაა მალტა, პოლონეთი, ჩეხეთი, ლატვია, ლიეტუვა, ესპანეთი, სლოვაკეთი, იტალია, ხორვატია, უნგრეთი, რუმინეთი, საბერძნეთი და ბულგარეთი.**

საქართველოს ქულა, კორუფციის კონტროლის მხრივ, კერძოდ, შეფასების რანგირების 100%-იანი შკალაზე 77,40%-ს გაუტოლდა და 48-ე პოზიცია დაიკავა. აღნიშნულ ინდიკატორში ეს ქვეყნის ისტორიული მაქსიმუმია.

კორუფციის კონტროლი ეფუძნება შეფასებებს, თუ რამდენად გამოიყენება და მიმართულია სახელმწიფო ძალაუფლება და საჯარო უფლებამოსილება კერძო მიზნის მიღწევისკენ, რომელიც მოიცავს როგორც მცირე, ასევე მსხვილმასშტაბიანი ტიპის კორუფციას

მსოფლიო ბანკის „მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები“ მსოფლიოს 200 ქვეყანას მმართველობის 6 მიმართულებით აფასებს:

- **გამოხატვის უფლება და ანგარიშვალდებულება;**
- **პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობასთან ბრძოლა;**
- **მმართველობის ეფექტიანობა;**
- **რეგულაციების ხარისხი;**
- **კანონის უზენაესობა;**
- **კორუფციის კონტროლი.**

კიდევ ერთი ინდიკატორი, სადაც საქართველომ პოზიცია გაიუმჯობესა, რეგულაციის ხარისხია. საქართველომ შეფასების რანგირების 100%-იანი შკალიდან 81.73%-ი დაიმსახურა, და 2017 წელს მსოფლიოში 38-ე ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ 2012 წელთან შედარებით საქართველოს პოზიცია აღნიშნულ ინდიკატორში 17 ადგილით გაუმჯობესდა.

რეგულაციის ხარისხი აერთიანებს შეფასებებს მთავრობის მიერ კერძო სექტორის განვითარების მასტიმულირებელი ჯანსაღი პოლიტიკის/რეგულაციების შემუშავებისა და განხორციელების შესაძლებლობის კუთხით.

რეგულაციების ხარისხის ინდიკატორში საქართველო უსწრებს შემდეგ ქვეყნებს: ესპანეთი (42), პორტუგალია (43), პოლონეთი (44), სლოვაკეთი (49), იტალია (52), უნგრეთი (56), ბულგარეთი (57), სლოვენია (58), მაკედონია (60), რუმინეთი (62), ხორვატია (65), სომხეთი (74), საბერძნეთი (77), ყაზახეთი (81), მოლდოვა (95), თურქეთი (89), სერბეთი (93), აზერბაიჯანი (118), უკრაინა (124), რუსეთი (140), ბელორუსია (157) და სხვა.

რეგულაციის ხარისხის ინდიკატორში საქართველო აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში ბალტიის ქვეყნებთან ერთად ლიდერია.

საქართველო მმართველობის ეფექტიანობის ინდიკატორშიც გაუმჯობესდა. ქვეყანა 72,12 ქულით 59-ე პოზიციაზეა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ინდიკატორში გაუმჯობესდა როგორც საქართველოს ქულა, რომელიც ასევე ისტორიული მაქსიმუმია, ასევე სარეიტინგო მდგომარეობა. მმართველობის ეფექტიანობა ეფუძნება შეფასებებს საჯარო და სამოქალაქო სერვისების და მათი პოლიტიკური წნეხისგან დამოუკიდებლობის ხარისხთან დაკავშირებით. ასევე, პოლიტიკის შემუშავების, განხორციელების და ასეთი პოლიტიკის წარმოების მიმართულებით მთავრობის საიმედოობის ხარისხს.

ინდიკატორში საქართველო უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა: უნგრეთი (63), იტალია (64), საბერძნეთი (71), ბულგარეთი (76), სერბეთი (83), მონტენეგრო (87), მაკედონია (88), ალბანეთი (93), თურქეთი (94), ყაზახეთი (97), რუსეთი (104), სომხეთი (105), აზერბაიჯანი (111), რუმინეთი (113), ბელარუსი (127), უკრაინა (136), ბოსნია ჰერცეგოვინა (137), მოლდოვა (138) და სხვა.

გლობალური მმართველობის ინდიკატორები (World Governance 6ndicators) წარმოადგენს კვლევით მონაცემთა ბაზას, რომელიც სრულად ეფუძნება სხვადასხვა გლობალურ რეიტინგებსა და შეფასებებს. აღნიშნული მონაცემები თავის მხრივ ეყრდნობა კვლევით ინსტიტუტებისა და ცენტრების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ისევე როგორც კერძო სექტორის წარმომადგენლების გამოკითხვის შედეგად მიღებულ მოსაზრებებსა და შეფასებებს. არსებული გლობალური რეიტინგების აგრეგაციის გზით გლობალური მმართველობის ინდიკატორების მიერ ხდება ახალი ერთიანი მაჩვენებლების მიღება. გლობალური მმართველობის ინდიკატორებით მსოფლიოს მასშტაბით ფასდება 214 ქვეყანა და ტერიტორია, მათ შორის მსოფლიო ბანკის წევრი 186 სახელმწიფო. კვლევა მოიცავს პერიოდს 1996 წლიდან 2017 წლის ჩათვლით.

აღარასოდეს ავირჩიოთ ნეხვი!

ამ არჩევნების შემდგომ კონსტიტუციის ახალი რედაქცია ძალაში შედის. მთავარი, რაც ამ არჩევნებს ახალი კონსტიტუციით უშუალოდ უკავშირდება, საპარლამენტო რესპუბლიკის ზეპარტიული პრეზიდენტის იდეაა. ეს იდეა, ბუნებრივია, უწინარესად პრეზიდენტის ინსტიტუტის მაკონსოლიდირებელ, გამაერთიანებელ მისიას გულისხმობს. კონსტიტუცია გვეუბნება: საბოლოოდ უნდა ვთქვათ უარი იმ მძიმე გამოცდილებაზე, როცა პრეზიდენტი არათუ არ გვაახლოებს და გვაერთიანებს, არამედ სწორედაც პირიქით — ძალაუფლებისთვის მებრძოლ ბანაკებად გვყოფს, ამ ბანაკებს შორის უნდობლობას და ბევრად უარესიც, ურთიერთდაუნდობლობას, მტრობასა და შუღლს აღვივებს.

კონსტიტუციის ახალი რედაქციით ზეპარტიული პრეზიდენტი უნდა გვეხმარებოდეს, რათა, მიუხედავად განსხვავებულობისა, პოლიტიკური თუ სხვა ინტერესების გამო კონკურენციისა და თუნდაც ამ ინტერესთა ურთიერთდაპირისპირებებისა, საბოლოოდ არ გავითიშოთ; როგორც ერმა, მთლიანობა და ერთობა შევინარჩუნოთ, ანუ ერთმანეთისკენ სავალი გზები ყოველთვის დავიტოვოთ და მაშასადამე, გავთავისუფლდეთ იმგვარი უნდობლობისა და შიშებისგან, ანუ, როგორც ახლა უცხო ენაზე უწოდებენ — იმ „ფობიებისგან“, რაც შინაგანად ასე გვღრღნის და გვაცლის ეროვნულ ენერგიას.

სწორედ ამიტომ, **პრეზიდენტის ინსტიტუტი ახალი კონსტიტუციით ძალაუფლების მთავარ ცენტრს აღარ წარმოადგენს და, მაშასადამე, წესით და კანონით, აღარც ის ადგილია, რომლის დასაკავებლადაც მზადა ვართ ხოლმე ერთი-მეორეს თუნდაც თავ-პირი ვამტვრიოთ, როგორც არცთუ იშვიათად, მსგავსი აქამდე ჩაგვიდენია!**

კონსტიტუცია, რასაკვირველია, ჯერ არსის კატეგორიაა და თავისთავად მისი მიღება, თუკი არ აღსრულდება, თუკი ხორცს არ შეისხამს და არსად არ იქცევა, ბევრს არაფერს ნიშნავს, რაც არ უნდა შესანიშნავი და მეტიც, ჰაერივით საჭირო იყოს დღეს ჩვენთვის ზეპარტიული პრეზიდენტის იდეა, თუკი არ განხორციელდა, თუკი ოდენ იდეადვე დარჩა, რა ბედენაა?!

ჩვენდა საუბედუროდ და სავალალოდ, ნაცებისა და „რუსთავი-2“-ის მიერ თავს მოხვეული მიმდინარე საარჩევნო კამპანია კვლავაც დაუნდობლობისა და მწვავე ფობიების, ლამის სამკვდრო-სასიცოცხლო მტრობის ასპარეზია. არათუ ზეპარტიულობის იდეის განხორციელებისა და კონსტიტუციის ხორცშესხმისკენ არის მიმართული, არამედ სწორედაც პირიქით: ამ იდეის ძირის გამოთხრასა და დასამარებას ემსახურება!

შეგახსენებთ: ახალი კონსტიტუციით ეს პრეზიდენტის ბოლო საყოველთაო არჩევნებია. შემდგომში, სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ პრეზიდენტს, საკუთარი პოლიტიკის აღარც წარმოების უფლებები და აღარც ბერკეტები არა აქვს, **ამ პოსტის დასაკავებლად ძალაუფლებისათვის ასეთი დაუნდობელი ბრძოლა აღარასდროს აღარ უნდა გაიმართოს. პირიქით, ეს ადგილი რაც შეიძლება უნდა დაცილდეს, რაც შეიძლება ნაკლებად იყოს დაკავშირებული პოლიტიკურ ბანაკებს შორის კონკურენციითა და მით უმეტეს, მტრობით (როგორც ეს დღეს არის!) შექმნილ პოლიტიკურ კონიუნქტურასთან.** გამომდინარე აქედან, ამ ადგილის დასაკავებლად საყოველთაო არჩევნების გამართვა ლოგიკას მართლაც მოკლებულია.

ძნელი სათქმელია, იყო თუ არა საკონსტიტუციო უმრავლესობის მქონე მმართველი პარტიის შეცდომა, როცა იგი თანხმობის მისაღწევად დათმობაზე წავიდა და კონსტიტუციის ახალი რედაქციის ძალაში შესვლამდე, რაც ახალი პრეზიდენტის არჩევასთანაა დაკავშირებული, დაუშვა საპრეზიდენტო არჩევნების საყოველთაობა, მაშასადამე, ისევ პარტიულ-პოლიტიკური დაპირისპირებების, ხოლო არსებული კონიუნქტურის პირობებში — ფაქტობრივად, სამკვდრო-სასიცოცხლო მტრობის ასპარეზად აქცია პრეზიდენტის ადგილის დაკავება? ძნელი სათქმელია! რადგან რა უფრო მნიშვნელოვანი იყო კონსტიტუციის მისაღებად — მინიმალური თანხმობის მიღწევის მცდელობა თუ პრეზიდენტის როლისა და ადგილის სწორად განსაზღვრისათვის ამ თანხმობის (რომელიც საბოლოოდ მაინც ვერ შედგა), თუნდაც იმთავითვე ბოლომდე გაწირვა? ამას მხოლოდ პრაქტიკა თუ შეაფასებს და არა რაიმე თეორიული განსჯა.

პრაქტიკამ, ე.ი. სწორედ ამ ბოლო საყოველთაო საპრეზიდენტო არჩევნებით ქართველმა ხალხმა უნდა გასცეს პასუხი კითხვას — რას მოგვიტანს ახალი პრეზიდენტი — სამოქალაქო მშვიდობას თუ მტრობას? შეძლებს იგი გამაერთიანებელი მისიის შესრულებას თუ პირიქით — კიდევ უფრო გაამწვავებს ისედაც კრიტიკულ ზღვრამდე მისულ შუღლს და ადგილს საერთოდ აღარ დატოვებს აღარავითარი სამოქალაქო თანხმობისათვის?!

ამ არჩევნებში საკითხავი, უწინარესად, აი, ეს არის და არა ის ყოვლად ბრიყვული და თავისთავად „ფობიური“ ხასიათის შეკითხვა: „ვინ დაიწყო აგვისტოს ომი?“!

* * *

შეგახსენებთ: ქ-ნ სალომეს, როგორც კი მან საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის შესახებ განაცხადა, პირველივე შეკითხვად სწორედ ეს დაუსვეს: „ვინ დაიწყო აგვისტოს ომი?“

რატომ? ეს დღესავით ნათელია: ამ კითხვაზე ობიექტური პასუხი ქ-ნ სალომეს დიდი ხნით ადრე, უკვე მრავალგზის ჰქონდა გაცემული, მაგრამ ამჯერად ერთადერთი მიზნით იქნა გამოყენებული: მისთვის სრულიად უტიფრად მოღალატეობა დაებრალებინათ და იგი მძვინვარე ფობიების გასაღვივებელ მთავარ სამიზნედ ექციათ.

ნაწილობრივ ეს შეძლეს კიდეც: „შავპიარული“ გათვლა უაღრესად მარტივი იყო: ქ-ნი სალომეს კანდიდატად დასახელება აგვისტოს ომის 10 წლისთავის დღეებში მოხდა. ომში მწარე დამარცხების და მისი კატასტროფული შედეგების გამო, რაზეც, ულაპარაკოდ სწორედ თავადვე არიან პასუხისმგებელნი, ამ დღეებში უფრო გამძაფრდა ისედაც აუტანელი ტკივილი და სამართლიანი გულისწყრომა, რაც ამ იაფფასიანი ტრიუკით მთლიანად ქ-ნი სალომესკენ მიმართეს და კიდევ უარესიც: მარტო სალომე არ ყოფილა მათი სამიზნე. მთავარი სამიზნე, რაღა თქმა უნდა, კვლავაც ქართველი ხალხი იყო, რადგან ფობიის გაღვივება-გამწვავებით ხალხის გაბოროტებას ყოველმხრივ ეცადნენ. ქ-ნ სალომეს, ხალხის რაც შეიძლება გასაბოროტებლად, რა არ აბრალეს: პუტინის „შპიონობა“ თუ „სერგო ორჯონიკიძეობა“!

ახლაც დაჟინებით აგრძელებენ თავისას და გვიმტკიცებენ, რომ ქ-ნი სალომე თურმე ქართველთა, ე.ი. თავისიანთა მტერი, ანუ „ოიკოფობი“ ყოფილა („ოიკო“ — ბერძნულად სახლს ჰქვია, ხოლო „ოიკოფობია“ — საკუთარი სახლის, შინაურების, შენი სისხლისა და ხორცის შიშსა და სიძულვილსა ნიშნავს);

ესეც არ აკმარეს და სრულიად საპირისპირო რამ, „ქსენოფობიაც“ დასწამეს; ე.ი. ერთდროულად მოღალატე ოიკოფობიც, ე.ი. მშობლიური ენის ხეირიანად არმცოდნე, შინაურების მოძულე და მტერიცა ყოფილა და თურმე იმავდროულად ქსენოფობიც, ე.ი. უცხოთა მოძულეც!

ძნელი მისახვედრი სულაც არ არის, რომ ქ-ნი სალომე, რომელსაც, როცა ჩვენ აქ, საბჭოთა საქართველოში პავლიკ მოროზოვის მსგავს მაგალითებზე ნამდვილ ოიკოფობებად გვზრდიდნენ (სხვა საქმეა, ვისთვის როგორ და რა გამოუვიდათ!), ადრეული ბავშვობიდან საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის თავდადებას საკუთარი ოჯახის მაგალითზე სწავლობდა, ხოლო ფრანგულ გარემოში კი, თუ ადამიანი ფსიქიკურად ჯანმრთელია, ქსენოფობიას ვერასგზით შეითვისებდა. ამიტომ, დასახელებულ კანდიდატთა შორის თუკი ვინმეა ყოველგვარი ფობიებისგან, უწინარესად კი ქსენო თუ ოიკო ფობიისგან სრულიად თავისუფალი, გინდა სიტყვით და გინდა საქმით, უწინარესად ეს სწორედაც ქ-ნი სალომეა!

სრული აბსურდია, ავადმყოფური ბოდვაა მას მსგავსი რამ აბრალო!

ეს ბოდვა რომ დამაჯერებელი გახადონ, რა არ ქნეს — ლამის ტანზე შემოიხიეს და პირდაპირი მნიშვნელობითაც კი ცხარე წიწაკა ჭამეს პირდაპირ ეთერში. ესეც არ იკმარეს — უტიფრადაც დაგვმუქრენ და ვინც სალომეს მხარდაჭერას გავბედავთ, ყველანი ქვეყნის მტრებად იმთავითვე შეგვრაცხეს!

განა რა არის ეს, თუ არა სწორედაც რომ უკიდურესობამდე გამძვინვარებული ფობია?!

განა ნათელი არ არის, რაოდენ არიან თავადვე ტოტალური სიძულვილითა და ბოროტებით შეპყრობილნი, რამდენადა სძულთ არა მხოლოდ სალომე და მასთან ერთად ძალზე ბევრი სხვა შინაურიც, არამედ საერთოდაც ყველა, ვინც მათთან და მათკენ არ არის?!

ტერმინიც კი შეიძლება მათ ამ უმძიმეს მდგომარეობას, ე.ი.ტოტალური სიძულვილითა და ბოროტებით შეპყრობილობას დავარქვათ — ს ა ლ ო მ ე ფ ო ბ ი ა!

სალომეფობია აქ არა მხოლოდ სალომე ზურაბიშვილის სიძულვილს აღნიშნავს. შეგახსენებთ, სახელი „სალომე“, ანუ ებრაულად „სალომეა“, „შალომ“ ფუძიდან მოდის, რაც ქართულად — მშვიდობას (!) ნიშნავს. **„სალომეფობია“, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში პრეზიდენტობის სწორედაც ზეპარტიული კანდიდატის მიმართ შეურიგებლობის გამოხატულებაა, უფრო ზოგადი მნიშვნელობით სხვას არაფერს, ზუსტადაც — სამოქალაქო მშვიდობისა და თანხმობის აუტანლობას, ზიზღსა და შიშს გულისხმობს!**

უეჭველია: **არჩევნებში გაშმაგებულ სალომეფობთა გამარჯვება კონსტიტუციური წესრიგის და სამოქალაქო მშვიდობის ძირის გამოთხრას ნიშნავს!**

სალომეფობნი, უწინარეს ყოვლისა, მშვიდობასა და თანხმობას ვერ იტანენ, ყოველთვის ებრძვიან, ამდენად - მუდამ მტრობასა და შფოთს ეძიებენ! ამ ჯერზე მათი მთავარი მიზანი, რაც კანდიდატმა ვაშაძემ დაუფარავად და ურცხვად განაცხადა კიდეც, სწორედ შფოთვის ამ გზით დათესავაა: სააკაშვილის შეწყალებითა და მისთვის მოქალაქეობის აღდგენით, ასევე სხვა დამნაშავეთა გათავისუფლებით დიახაც, „მეიდანიზაცია“, მასშტაბური დესტაბილიზაცია და არეულობის შექმნა სურთ, თორემ თავადაც მშვენივრად იციან, 400-ლარიანი პენსია რომ არა მხოლოდ გასაბრიყვებლად, არამედ ესეც ისედაც სვეგამწარებულთა უფრო მეტად გასამწარებლად და გასაბოროტებლად გამოიგონეს!

„სალომეფობია“, როგორც ქცევის მთავარი წესი, როგორც მათი ტაქტიკაცა და სტრატეგიაც, ხალხის გაბოროტებისა და გამწარების გზით ყველაზე მწვავე ფობიებით შეპყრობილთა გაბატონებაა! საბოლოო მიზანი კვლავაც წყვდიადის, ბოროტების მეუფება, ანუ კაკოკრატიაა (ბერძნულიდან „კაკოს“ — ბოროტებას ნიშნავს)!

ცხადია, კაკოკრატია არც ევროპულია და არც ნაციონალური. ამიტომ, სინამდვილეში არც „ევროპული საქართველოა“ და არც „ნაციონალური მოძრაობა“. ეს კაკოკრატთა, ქართულად და უფრო შესაფერისად თუკი ვუწოდებთ — ყაყოკრატთა, ერთიანი სალომეფობიური მოძრაობაა. არავითარი მნიშვნელობა აქ არა აქვს, ბაქრაძეა ყაყოკრატთა მენშევიკი, ხოლო ვაშაძე ბოლშევიკი, თუ პირიქით. ეს მხოლოდ მათთვისვე თუა მნიშვნელოვანი, რადგან შიდა კონკურენციას ბოლშევიკები, ანუ უფრო სასტიკნი და გულქვანი, უფრო მწვავედ შეპყრობილნი და უფრო ცხარე წიწაკით გამძღარნი იგებენ.

ჩვენთვის კი ორივე ერთი ნეხვია და ჭკუათამყოფელი თავისი ნებით ნეხვს არასდროს ირჩევს. ეს არ ნიშნავს, როგორც თავადვე გვიმტკიცებენ, რომ ნეხვის ზიზღიც თურმე — ფობიაა. ცხადია, ნეხვის, ე.ი. მათი ზიზღი ფობია კი არ არის, არამედ ბუნებრივად ჯანსაღი მდგომარეობაა!

თუ ღმერთი შეგვწინა, ფობიებისგან იქნებ ამ არჩევნებით მაინც გავთავისუფლდეთ, ე.ი. აღარასდროს ავირჩიოთ ნეხვი. ეს კი იმის საწინდარი იქნება, რომ მომავალში დღევანდელზე უკეთესი არჩევანიც მეტი და მეტი გვექნება!

დავით ზარდიაშვილი

რაღაცას სწორად არ აკეთებთ, მეგობრებო!

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ განაცხადა. მისი თქმით, წარმოუდგენელი და შეუთავსებელია თავისუფლებასთან, დემოკრატიასთან, როცა ტელევიზიის დირექტორი საზოგადოებას ადამიანის შევიწროებისკენ, დევნისკენ მოუწოდებს

„ამაზე სამოქალაქო საზოგადოების რეაქცია აუცილებელი იყო. სხვა მაგალითებიც დაგროვდა ბოლო პერიოდში, რაზეც რეაქცია არ არის, ან მიკერძოებულია და ეს ძალიან შემაშფოთებელია. შერჩევითი მიდგომა აზიანებს სამოქალაქო საზოგადოების იდეას. როდესაც „ნაციონალური მოძრაობა“ და მიხეილ სააკაშვილი გაქებთ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ე.ი. რაღაცას სწორად არ აკეთებთ, მეგობრებო“, — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

ცნობისთვის, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ სოციალურ ქსელში დაწერა, რომ ყველა, ვინც სალომე ზურაბიშვილს ან აფინანსებს, ან კამპანიაში სხვაგვარად ეხმარება, ყველა პოლიტიკოსი, რომელიც დაჰყვება და მხარს უჭერს, უკიდურესად უნდა შევავიწროოთ.

„წიქარას“ მუზეუმი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე

ფრანკფურტის წიგნის 70-ე საერთაშორისო ბაზრობის ფარგლებში, ფრანკფურტის „შტრუველპეტერის“ მუზეუმში, „თიბისის“ მხარდაჭერით ქართული ხალხური ზღაპრის „წიქარას“ მუზეუმის გამოფენა გაიხსნა.

„შტრუველპეტერის“ მუზეუმის სურვილის საფუძველზე – კულტურული პროგრამის ფარგლებში მათთან ქართული ილუსტრაციები გამოფენილიყო – ქართული წიგნის ეროვნულმა ცენტრმა გამოფენის კონცეფციის შექმნისთვის კონკურსი გამოაცხადა. გამოფენისთვის ორი ორგანიზაციის – „კონტაქტისა“ და „ილუსტრატორის“ ერთობლივი იდეა – „მუზეუმი მუზეუმში“ შეირჩა.

პროექტი მოიცავს ქართველი ილუსტრატორების მიერ სპეციალურად ამ გამოფენისთვის შექმნილ ილუსტრაციებს, სამგანზომილებიან ობიექტებსა და მაკეტებს. საგამოფენო ექსპონატებში გამოყენებულია ქართული ტრადიციული ვიზუალური ხელოვნების ორნამენტიკა, გამოფენის ტექსტურ ნაწილში კი დამთვალიერებელს ქართული ანბანის ხილვის საშუალება აქვს. „წიქარას მუზეუმი“ ხუთ ზონას მოიცავს: სახლი, სარკე, სავარცხელი, სალესი ქვა და ცხრაკლიტული. დაყოფილი ექსპოზიციის დათვალიერებისას დამთვალიერებელს საშუალება აქვს იმოგზაუროს ზღაპარში და კვალდაკვალ მიჰყვეს ზღაპრის მოვლენების განვითარებას. გამოფენის ნაწილია ასევე საბავშვო ღონისძიებები და მუზეუმის მაღაზია.

ფრანკფურტის „შტრუველპეტერის“ მუზეუმი მთლიანად გერმანელი მწერლისა და ფსიქიატრის ჰაინრიხ ჰოფმანის მიერ 1845 წელს საკუთარი ვაჟისთვის დაწერილ საბავშვო წიგნს „შტრუველპეტერს“ ეძღვნება. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს ქართველმა ილუსტრატორებმა პროექტისთვის ერთი ქართული ზღაპრის თემატიკაზე მუზეუმის შექმნა და წიგნის ბაზრობაზე წარდგენა.

წელს საქართველო ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსით არის მიწვეული და ის მთელ მსოფლიოს თავის ლიტერატურასა და კულტურულ მემკვიდრეობას გააცნობს.

ვილნიუსის სკვერის სრული რეაბილიტაცია 2019 წლიდან დაიწყება

მთაწმინდის რაიონის გამგეობისა და საქართველოში ლიტვის საელჩოს წარმომადგენლებმა, ქალაქ ვილნიუსის მერიის დელეგაციას, რომელიც დედაქალაქს თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით ეწვია, ჭონქაძის ქუჩაზე მდებარე ვილნიუსის სკვერის რეაბილიტაციის პროექტი გააცნეს.

სკვერის სრული რეაბილიტაციისთვის შექმნილი კონცეფცია სტუმრებს პროექტის ავტორმა, ლიტველმა არქიტექტორმა რიტის ციკანავიჩიუსმა წარუდგინა.

აღნიშნული პროექტი, რომლის განხორციელებას მთაწმინდის გამგეობა მომავალი წლიდან დაიწყებს, თბილისს ლიტვურმა მხარემ საჩუქრად გადასცა. სკვერის რეაბილიტაციისთვის გამგეობის ბიუჯეტიდან 930 ათასი ლარი გამოიყოფა.

ვილნიუსის სკვერი თანამედროვე, ევროპული სტანდარტების შესაბამისად განახლდება, რომლის შიდა სივრცე ლიტვის კულტურულ სახეს ასახავს. სკვერში დეკორატიული შადრევანი მოეწყობა, სადაც „ვილნიუსის ანგელოზის“ ქანდაკება განთავსდება. შადრევნის მიმდებარედ კი დასასვენებელი სკამები და ლითონის პერგოლა დამონტაჟდება, რაზეც ხვიარე მცენარეები გაშენდება.



განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საბავშვო მოედნების მოწყობას, სადაც თანამედროვე ტიპის ატრაქციონები დამონტაჟდება, მათ შორის, საქანელა შშმ პირებისთვის. მოეწყობა მუსიკალური სივრცე ქუჩისთვის ადაპტირებული ლითონის საკრავებით.

სკვერში განთავსებული დურბინდის მეშვეობით, ვიზიტორები „ვილნიუსის ქანდაკებას“ დაინახავენ, ხოლო სმარტფონებში QR კოდის დასკანირებით, მათ შესაძლებლობა ექნებათ, ლიტვის დედაქალაქის ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობების შესახებ სრული ინფორმაცია მიიღონ, დაათვალიერონ ფოტოები და ვიდეორგოლებს უყურონ.

ამბროლაურში ღვინის ახალი საწარმო ამოქმედდა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ყურძნის გადამმუშავებელი საწარმო შპს „ზედაშე“ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში შეიქმნა. სახელმწიფოს მხარდაჭერით, საწარმომ 550,000 აშშ დოლარზე მეტი შეღავათიანი აგროკრედიტით ისარგებლა.

საწარმოში, სადაც წლიურად 60 ტონაზე მეტ ყურძენს გადაამუშავებენ, სეზონზე 65 ადამიანია დასაქმებული. პროდუქციის რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე ხდება.

საწარმო აქტიურადაა ჩართული რთველი 2018-ში და ყურძენს როგორც საკუთარი ვენახებიდან, ისე ადგილობრივი მევენახეებისაგან იბარებს.



მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რაჭის რეგიონში წელს ალექსანდროულისა და მუჯურეთულის საუკეთესო და უხვი მოსავალია. 1080 ტონა ყურძენი უკვე დაკრეფილია და საწარმოებშია ჩაბარებული. მევენახეების შემოსავალმა ამ ეტაპისთვის 7,3 მლნ ლარს მიაღწია.

ქართული ღვინის ექსპორტი – 13 %-ით, ხოლო ღვინის ღირებულება 22 %-ით გაიზარდა

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2018 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოდან მსოფლიოს 53 ქვეყანაში ექსპორტირებულია 60 მლნ-მდე ბოთლი ღვინო (0,75 ლ), რაც 13%-ით აღემატება 2017 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. ექსპორტირებული ღვინის ღირებულება 142 მლნ აშშ დოლარია, ზრდამ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 22% შეადგინა.

ექსპორტი გაზრდილია ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე: იაპონია, პოლონეთი და დიდი ბრიტანეთი, ასევე ევროპისა და ამერიკის მიმართულებით: რუმინეთი, ჩეხეთი, ნიდერლანდები, გერმანია, ლიეტუვა, ესტონეთი, კანადა, საფრანგეთი, ლატვია და ა.შ.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეულია: რუსეთი (37064677), უკრაინა (6746598), ჩინეთი (4821937), ყაზახეთი (2658224) და პოლონეთი (2465541).

ამასთან, იანვარ-სექტემბერში საქართველოდან მსოფლიოს 22 ქვეყანაში ექსპორტირებულია 13,5 მლნ ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 19%-ით აღემატება გასული წლის 9 თვის მონაცემებს. ბრენდის ექსპორტით მიღებულმა შემოსავლებმა 27,6 მლნ აშშ დოლარს მიაღწია – ზრდამ 10% შეადგინა.

ქართული საფოსტო მარკა „ბესლეთის ხიდი“ ევროპის მარკების კონკურსის გამარჯვებულია

ქართული საფოსტო მარკა „EUROPA 2018 - ბესლეთის ხიდი“ ევროპის მარკების კონკურსის მესამე ადგილის მფლობელი გახდა. ხმის მიცემა ონლაინ სპეციალურ ვებგვერდზე მიმდინარეობდა, კონკურსში 57 საფოსტო მარკა მონაწილეობს. ევროპის საფოსტო გაერთიანების „Post-Europ“-ის ეგიდით ყოველწლიურად იმართება ევროპული მარკების კონკურსი, საკონკურსო თემას PostEurop-ის მარკების და ფილატელისტების სამუშაო ჯგუფი ირჩევს.

წლევანდელ თემას წარმოადგენს ხიდები, საქართველოს ფოსტის მიერ კონკურსში წარდგენილი იქნა ქართული საფოსტო მარკა „EUROPA 2018 – ბესლეთის ხიდი“. მარკაზე აღბეჭდილია XII საუკუნის ქართული კულტურის მატერიალური ძეგლი ბესლეთის ხიდი, მას ასევე თამარის ხიდსაც უწოდებენ. ხიდი მდებარეობს სოხუმთან, მდინარე ბესლეთზე, იგი ერთმალიან თაღოვან ხიდს წარმოადგენს, მისი სიგრძე 35 მ., სიმაღლე 8 მ., ნაგებია კირქვის ფილებით დუღაბზე. თაღის ყოველ საპირე ქვაზე ამოკვეთილია ქართული ასომთავრული ასოები, ხოლო დასავლეთ კიდეზე მოთავსებულია ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა – „ქრისტე მეუფეო ყოველთა.... ადიდე ორთავე შინა სუფევათა უძლეველი მეფეთა მეფე ბაგრატი“. ხიდთან ადრე ბესლეთის ციხე იდგა, რომელიც ვიწრო ხეობაში ქალაქის შემოსასვლელს მთის ტოტების თავდასხმებისგან იცავდა. ხიდის თავთან ასევე შემონახული იყო მონუმენტური ქვა-სტელა ქართული ტექსტით, რომელიც 1990-იანი წლების დასაწყისში დაიკარგა. ბესლეთის ხიდს მინიჭებული აქვს საქართველოს ეროვნული ძეგლის სტატუსი.

„ქვის კოშკების მიწა“ ჯილდოს მფლობელია

„ქვის კოშკების მიწა“ - კატერინა მიკულცოვას მოკლემეტრაჟიანმა ფილმმა თუშეთის რეგიონის შესახებ, სლოვაკეთის აგრო ფილმების 34-ე საერთაშორისო ფესტივალზე FAO-ს ოსირისის ჯილდო მიიღო. აგროფილმების ფესტივალს სლოვაკეთის სოფლის მეურნეობისა და სურსათის ეროვნული ცენტრი FAO-ს პატრონაჟით ატარებს. ის ყურადღებას ამახვილებს: აგრარულ, სასურსათო და სხვა სასოფლო-სამეურნეო თემებზე.

ფილმში, რომელიც ჩეხეთის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა, მაყურებელს შეუძლია ნახოს, თუ როგორ იწყებს მოძრაობას ცხვრის ფარა 300-კილომეტრიან მარშრუტზე, ზამთრის საძოვრებიდან საქართველოს მეზობელი აზერბაიჯანის საზღვრისკენ. ცხვრის მიგრაციასთან ერთად, ფილმში ამავდროულად ასახულია გზაზე არსებული კულტურული ძეგლები, სალოცავები, ციხეები და მოთხრობილია ადგილობრივ თუშთა ყოველდღიური ცხოვრება.

თუში მოსახლეობის მხარდასაჭერად, ჩეხეთის განვითარების სააგენტო რეგიონში არაერთ ღონისძიებას ახორციელებს. მათ შორის უნდა აღინიშნოს მზის პანელების დამონტაჟების პროექტი, რითაც ჩანაცვლდა ბენზინზე მომუშავე გენერატორები, ასევე, საფეხმავლო ბილიკების მარკირება და სხვა ინიციატივები, რამაც რეგიონში ტურიზმის განვითარებას და ადგილობრივთა ეკონომიკურ სტაბილურობას უნდა შეუწყოს ხელი. ფესტივალზე მთელი მსოფლიოდან 80-ზე მეტი ფილმი იყო წარმოდგენილი.

ჩხუტუნეთის ჩანჩქერი.ქვის გოლები

ბოლო ხანს უაღრესად მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენის მოწმენი გავხდით საქართველოში. არქეოლოგიური კვლევა სრულიად მართებულად, უეჭველად წარმოგვიჩენს ჩვენს ქვეყანას უძველესი ცივილიზაციის კერად. ამ აღმოჩენათა შორის საინტერესო და მნიშვნელოვანია აჭარის ტერიტორიაზე (სოფ. დაგვა, ჩხუტუნეთი და სხვ.) განხორციელებული არქეოლოგიური გათხრები, რომელსაც აწარმოებს ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ექსპედიცია პროფესორ ამირან კახიძის ხელმძღვანელობით. აღმოჩენილია მეგალითური კულტურის სრულიად ახალი სახეობის ძეგლები, რომელთა შესწავლასაც არსებითი წვლილი შეაქვს ლითონის (ფერადი ლითონის) მეტალურგიის ისტორიაში. ჩვენ გვქონდა საშუალება, მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლებთან ერთად, მოგვენახულებინა გათხრები სოფელ დაგვაში და საკუთარი თვალით გვეხილა ეს სენსაციური აღმოჩენები. მიგვაჩნია, რომ არ იქნება უინტერესო თუ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველი გაეცნობა არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის, პროფესორ ამირან კახიძის პირველად პუბლიკაციას აღნიშნული აღმოჩენის შესახებ.

როინ მეტრეველი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი

მეტალურგიის უძველესი კერების უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები

საყოველთაოდ ცნობილია ჩვენი ქვეყნის წვლილი საკაცობრიო ცივილიზაციის საგანძურში. მარტო იმის აღიარება რად ღირს, რომ გაადამიანების პროცესის (ანთროპოგენეზი) უძველესი ნაშთები ევრაზიაში (1800000-1700000 წლები) სწორედ დმანისის გათხრებითაა დადასტურებული. უწყვეტ სურათს ვხედავთ მომდევნო ეპოქების ყველა საფეხურისთვის, რომელიც დაგვირგვინდა თანამედროვე ადამიანის, ე.წ. ჰომო საპიენსის წარმოშობით. როგორც ვიცით, ქვის ხანგრძლივი ერის დამთავრების შემდგომ კაცობრიობის ისტორიაში იწყება კიდევ უფრო საინტერესო ლითონის საუკუნე. კიდევ უფრო რელიეფურად იკვეთება საქართველოს განსაკუთრებული როლი მსოფლიო ისტორიულ პროცესებში. ამჯერად ჩემს მოვალეობად მიმაჩნია მკითხველს მივაწოდო უახლესი ინფორმაციები აჭარაში ბოლო წლების სენსაციურ აღმოჩენებზე. ესაა მეგალითური კულტურის ძეგლების სრულიად ახალი სახეობანი, რომლებიც უკავშირდებიან ნოვაციებს ფერადი ლითონების მეტალურგიის პროცესებში. 2014-2018 წლებში აჭარის ტერიტორიაზე მიკვლეულ იქნა 50-ზე მეტი ძეგლი და არქეოლოგიური გათხრებიც განხორციელდა. უახლესი აღმოჩენებით სათავე დაედო მრავალი ასპექტის მომცველ მიმართულებას ძველი მსოფლიოს ისტორიასა და არქეოლოგიაში. დასტურდება, რომ მნიშვნელოვანია გენიოს მემთამადნეთა წვლილი წინააზიური ცივილიზაციების შექმნაში.

დაგვა. ქვის გოლი

ჩვენ ხელთ არსებული არტეფაქტების მიხედვით ჩანს, რომ ჯერ კიდევ ახალი ქვის ხანიდან (ძვ.წ. VIII-VII ათასწლეულები), ადრე დაწინაურებული ქვეყნების მსგავსად (მხედველობაშია ბალკანეთი, მესოპოტამია, ანატოლია, ინდოეთი, შუა აზია და ა.შ.), ერთ-ერთმა პირველებმა დაიწყეს მითვისებითი, შეგროვებითი მეურნეობიდან მწარმოებლურ, კულტურულ, ბინადარ მეურნეობაზე გადასვლა. ენეოლითის (ხალკოლითის) ხანაში იწყება ემპირიული უნარ-ჩვევების დაგროვება, საწარმოო ურთიერთობები, ლითონის ნაკეთობათა თანდათანობით დანერგვის თვალსაზრისით. ყოველივე ამას კი საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა (ძვ.წ. V ათასწლეული – IV ათასწლეულის პირველი ნახევარი). ამ დროისთვის ღია თუ დახურული კარიერების ნედლეულის მოპოვებას შეზღუდული, თვითკმარი ხასიათი უნდა ჰქონოდა. ბრინჯაოს მეტალურგიამ დასრულებული სახე მომდევნო ეპოქებისთვის, კერძოდ, ადრე, შუა, გვიან ბრინჯაოს ხანისათვის მიიღო (ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარი, მესამე და მეორე ათასწლეულები). ბუნებრივია, ყოველივე ეს დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ამ ეპოქების მსოფლიო-ისტორიულ პროცესებთან, გლობალურ ძვრებთან. მსოფლიო რუკაზე აღმოცენდა არაერთი სახელმწიფო. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ანატოლიაში ჯერ ხათებისა და შემდგომში ხეთების, მესოპოტამიაში, იგივე შუამდინარეთში შუმერის, აქადის, ბაბილონის, ასირიისა და სირიის, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და ეგეოსის ზღვის კუნძულებზე კრეტა-მიკენის სახელმწიფოები. სწორედ ამ ორბიტასთან ჩანს დაკავშირებული ჩვენი მხარე. მეცნიერთა დიდი ნაწილი აღიარებს, რომ სწორედ ლითონთანაა დაკავშირებული სამხრეთის იმპულსები. სწორედ ამ დროისთვის ჩვენთანაც წარმოიქმნა მაღალგანვითარებული, ფართო არეალის მომცველი კულტურები (შულავერ-შომუთეფეს, მაიკოპის, მტკვარ-არაქსის, ადრეული ყორღანების, ბედენის, თრიალეთის და ოქრომრავალი კოლხეთის). **ბუნებრივია, პოლიმეტალეებით მდიდარი ჩვენი მხარე იზოლირებული ვერ იქნებოდა მსოფლიო ისტორიული პროცესებისაგან. ყოველივე ეს, შესანიშნავად ჩანს აჭარის უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენებით.**

იმდროინდელ მსოფლიო ბაზარზე ლითონის მოთხოვნილების ზრდას მხარი აუბეს აქაურმა ნოვატორმა მემთამადნე-მეტალურგებმა. არსებითია ამ რთულ და შრომატევად პროცესებში წყლის ენერგიის გამოყენება. ამას ისიც ემატება, რომ ამ სახის სამუშაოების შესასრულებლად მეტალურგებს აურჩევიათ სრულიად ახალი, შეიძლება ითქვას, საოცარი გეოგრაფიული გარემო. ჩვენ მიერ შესწავლილი ყველა ძეგლი ტოპოგრაფიულად აღრიცხულია პატარა თუ მოზრდილი მდინარეების მკვეთრი დაქანების მქონე კლდოვან-ქარაფოვან ადგილებში. შეუსრულებიათ ფართო მასშტაბის ქვის სამტეხლო სამუშაოები. მსგავსი არჩევანი სრულიად არაა შემთხვევითი. ფერადი ლითონების მეტალურგიის ისტორიაში პროფესიონალი ხელოსნები გვევლინებიან არაერთი ნოვაციის ავტორად. პირველი მეტად მნიშვნელოვანი სიახლე სწორედ მსგავს გარემოს მოითხოვს. მისი არსია საბადოებიდან გამოტანილი ნედლეულის ფუჭი ქანებისაგან განთავისუფლება, ე.წ. ფლოტაცია. დასახლებებთან ახლოს იწყება სრულიად ახალი შინაარსის მატარებელი მეტალურგიული კერების მოწყობა. გარკვეული დაშორებით ფლატე კლდეებში წალკატისა და ეროს გამოყენებით ამოუკვეთიათ სხვადასხვა სიფართის, სიღრმისა თუ სიგრძის აბაზანისებრი ქვის გოლები. ამათი მოცულობა შთამბეჭდავია. ზოგიერთი მათგანის სიგრძე 18, 14, 6, 2 მ-ია; შესაბამისია სიფართე. სიღრმე წყლის ზედაპირიდან მერყეობს 3; 2,5; 2 და 1,5 მ-ს შორის. გოლებში ეშვებოდა მკვეთრი დინების მქონე ასევე ხელოვნურად შექმნილ არხებში მოქცეული წყლის ჩანჩქერისებრი ნაკადი, რომლებიც მორევისებრ ბრუნვას ქმნიდნენ. მივდივართ დასკვნამდე, რომ მემთამადნე-მეტალურგები სწორედ ამ გოლებში ყრიდნენ ღია თუ დახურული კარიერებიდან გამოტანილ მადანს. სწორედ ამათ ეხეთქებოდა ჩანჩქერების ნაკადი. ბუნებრივია, ხდებოდა ხის კეტებითაც მორევა ქვის გოლის შედარებით მდორე ადგილებში. გამოკვლეული ქვის გოლების რიცხვმა ასეულს გადააჭარბა. მათში შესრულებულია დიდი მასშტაბების სამუშაოები. ბუნებრივია, ამ გზით, შესაბამისად ათასჯერ და უფრო მეტად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. აღრიცხულია გოლებთან მისადგომი ბილიკებისა და ზოგჯერ კლდეში ნაკვეთი საფეხურების ნაშთები. ეს წარმოება აყვანილია ინდუსტრიულ დონემდე.

მელითონეებს სცოდნიათ, რომ მადნის ქურებში გამოსადნობად მომზადებამდე აუცილებელი იყო მისი ე.წ. ფლოტაცია. მის შემადგენლობაში სასურველი ნივთიერებების კონცენტრაციის გაზრდა, მსუბუქი ფრაქციების მოშორება (ქვა-ღორღი, მიწა, ვულკანური ლავის ნატეხები და ა.შ.). ქვის გოლებში ადგილზევე რჩებოდა ლითონის შემცველი მასა, რომელთა სიმკვრივე 2,3 ჯერ აღემატებოდა მსუბუქი ქანებისას, ფუჭი ქანები მიჰქონდა მდინარეს. ასეთია პირველი ნოვაციის არსი.

არანაკლებ საინტერესოა მომდევნო სიახლეც.

მეტალურგიის ისტორიაში ცნობილია, რომ წინასწარ დამზადებულ ფორმებში (ვთქვათ – ცული, თოხი, შუბისა და ისრის პირები, საკინძეები, სხვადასხვა სახის სამკაულები) ფლოტაციაქმნილი ლითონის მეტალურგიულ ქურაში მოხვედრამდე აუცილებელი იყო მისი დაფცქვნა-დაქუცმაცება. სხვანაირად თხევადი გახურებული ლითონის მიღება-ჩამოსხმა შეუძლებელი იქნებოდა. საჭირო იყო თითქმის 1100 გრადუსის ტემპერატურა. ადრე ეს პროცესი მაგარი ჯიშის ქვებისაგან დამზადებულ ქვის სანაყ გობებში ხდებოდა. უახლეს მონაპოვრებში გარკვეულ ადგილს მსგავსი არტეფაქტებიც იკავებენ. ჩვენი ექსპედიციის ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ ახლად აღმოჩენილი მეგალითური ძეგლების კომპლექსში წამყვანი ადგილი დაიკავა ქვის გოლების ორივე მხარეს მრავლად ამოკვეთილ-ამოხვეწილმა სხვადასხვა ფორმისა და ზომის ქვების სანაყმა გობებმა. ამათი რიცხვი ათასეულს მიუახლოვდა. ქვის გოლების ფუნქციონალური დანიშნულების გარკვევის შემდეგ ჩვენ წინაშე გაჩნდა მორიგი კითხვა, რამ განაპირობა მსგავსი რაოდენობის ქვის სანაყი გობების გაჩენა ცალკეულ მდინარეთა საგანგებოდ შერჩეულ კლდოვან, მიუვალ, ქარაფოვან ადგილებში? ეს სიახლეც ჩვენს წინაპარ პროფესიონალ ხელოსანთა შემოქმედებთან აღმოჩნდა დაკავშირებული. მრავალი ნიუანსის მომცველ თვით ახლად აღმოჩენილ ქვის სანაყი გობების კვლევამ, ზუსტი მეცნიერებისა და განსაკუთრებით ეთნოლოგიური მონაცემების გათვალისწინებამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ მსგავს ძეგლებში ხდებოდა უკვე ფლოტაციაქმნილი ლითონის დანაყვა-დაქუცმაცება მეტალურგიულ ქურებში ღღობის პროცესების დაჩქარების მიზნით (აქაც წყლის ენერგიის გამოყენებით). შეიქმნა მექანიზმი, რომლის კონსტრუქცია ასე გვესახება: მზადდებოდა წინასწარი გათვლების მიხედვით გარკვეული სიგრძის ხის ქანდრისებრი ჯოხი, რომელსაც მოძრავად შეაყენებდნენ ხის ბოძზე. ერთ მხარეს იკიდებოდა წყლის ჭურჭელი, მეორე ბოლოზე კი გობისკენ მიმართული საგანგებოდ დამზადებული სხვადასხვა წონის ქვის ურო (ვთქვათ, 15, 50, 90, 200, 300 კგ). ბუნებრივია, საწყის ეტაპზე მძიმე ურო მიწაზე ექცეოდა, მსუბუქი წყლის ჭურჭელი კი ჰაერში იყო გამოკიდებული. მასში თანდათანობით ჩაედინებოდა ხის ღარით მოყვანილი წყლის ნაკადი. წყლის მარაგის მატებასთან ერთად ჭურჭელი ნელა-ნელა ქვემოთ ეშვებოდა, ქვის ურო კი ზემოთ მიემართოდა. გარკვეულ ზღვართან მიახლოებისთანავე წყლის ჭურჭელი მყისიერად იღვრებოდა, ქვის ურო კი მოწყვეტით ეხეთქებოდა ქვის გობებში ჩალაგებულ ლითონის გოროხებს. წყლის ჭურჭელი უბრუნდებოდა საწყის მდგომარეობას. ხელოსნის მეთვალყურეობით ეს პროცესი გრძელდებოდა მანამდე, სანამ ქვის გობში მოთავსებული ლითონის ნატეხები, ნაცარტუტად არ იქცეოდა. სარფის მეტალურგიული კერის არქეოლოგიური გათხრებისას ასეთ სურათს წავაწყდი: მე-6 ქვის სანაყ გობში გარკვეულ დონეზე გამოჩნდა ოთხწახნაგა ქვის ურო, რომელსაც ფლოტაციაქმნილი ლითონის ნატეხებიც მოჰყვა.

ცხადია, ამ ნოვაციით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

ყურადღებას იქცევს ზოგიერთი ძეგლის გარკვეულ მონაკვეთებზე ნაკვეთი მინიატიურული ქვის გობისებრი თუ უფორმო ჩანაჭერები, სხვადასხვა მიმართულების წვრილი არხები. ესენიც მეტალურგიული კერის ერთიანი პანორამის შემადგენელი ნაწილი გახლავთ. გაჩნდა ეჭვი, რომ ამათში იძირებოდა მდინარეთა შენაკად-ნაკადულების მიერ წვიმიანობის დროს ჩამოშლილ ქვიშნარ ფენებთან ერთად ჩამოტანილი ფერადი ლითონების უფრო მძიმე, მათ შორის ოქროს წვრილი ნატეხები. მომავალი კვლევები, ვფიქრობთ, მსგავს მოსაზრებას კიდევ უფრო გაამყარებს.

უახლესი აღმოჩენები ადასტურებს, რომ კავკასიონის მოსახლეობა, ფართოდაა ჩაბმული მსოფლიო ისტორიულ პროცესებში. განსაკუთრებით – საერთაშორისო ბაზარზე პოლიმეტალეების ფართო მასშტაბით მიწოდება. ამან ხელი შეუწყო აჭარის ტერიტორიაზე მძლავრი მეტალურგიული კერების გაჩენას. ეჭვი არ გვეპარება, რომ საყოველთაოდ ცნობილი ძველაღმოსავლური ცივილიზაციების შექმნაში წონადი წვლილი შეუტანიათ ჩვენს წინაპარ მემთამადნე-მეტალურგ ტომებს. მათ მიერ შექმნილი პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი ანატოლიის, მესოპოტამიისა თუ ეგეოსური სამყაროს ქვეყნებისკენ მიედინებოდა.

ამდენად, ბოლო წლების აღმოჩენები მეტად მნიშვნელოვანია – სათავე დაედო ადრე უცნობი მეგალითური ძეგლების კვლევას. ვფიქრობთ, რომ ფართოა მისი გავრცელების არეალი. ეს და სხვა პრობლემები ჩვენი ექსპედიციების უახლესი კვლევის საგანს წარმოადგენს.

ამირან კახიძე,
ექსპედიციის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



მხატვარო, შენ მჭევრმეტყველი არა ხარ! ამიტომ გაჩუმდი და აჯობებს, რომ საქმეს მოჰკიდო ხელი.

ვინ მოსთვლის, რამდენი ომი და რევოლუცია იყო საჭირო, რათა დავბრუნებოდით რეაქციულ ჭეშმარიტებას, რომ „სიმკაცრე“ რაგინდარა იერარქიის პირველი პირობაა, რომ მხოლოდ იძულება ასხამს ფორმის ფორმას.

* * *

...1948 წელს დედამიწის ზურგზე სულ რამდენიმე ადამიანია, ვისაც ატომური ბომბის შექმნა ძალუძს, მაგრამ კაციშვილი არ არის, ვისაც იმის თქმა შეეძლო, თუ როგორ მზადდებოდა ის ნაზავი, რომელშიც ძმები ვან ეიკები ან ვერმეერს დელფტელი თავიანთ ყალამთ აწებდნენ. ეს არცვინ არ უწყის, თვით მეც კი.

* * *

ფერწერა ფერთა საშუალებით „ხილული რეალობის“ ასახვაა, უკეთუ ამ პროცესში გონება მონაწილეობს, „დეკორატიული ხელოვნების“ სახელწოდებით მივიღებთ უმდაბლესი ჟანრის ნაწარმოებს, უკეთუ იდეები მონაწილეობენ, მივიღებთ ისევ უმდაბლესი ჟანრის სურათს, ოღონდ უკვე „ლიტერატურული ფერწერის“ სახელწოდებით. დასკვნა: უტყუარი ფერწერა ის არის, რომლის შექმნაშიც მარტოოდენ სინამდვილე მონაწილეობს.

* * *

ძველ ოსტატთა ქმნილებანი მომავლის ფერწერაა, ვინაიდან მხოლოდ იმათ მიაღწიეს მხატვრულ სრულყოფილებას, მხოლოდ ისინი ფლობენ ოსტატობის არაერთ ჯადოსნურ საიდუმლოს.

* * *

...ძველი ოსტატები ცის შემწეობით წერდნენ, ეს მაშინ, როცა თანამედროვე მხატვართა სურათები ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებენ, რომ ისინი დაწერილია ექსკრემენტების საშუალებით, რამეთუ ის სურათები დიაღაც იმ ნივთებით არის დაწერილი, ბიოლოგიური ტუბიდან რომ გამოიწურება, ხოლო გულსა და სულს იქ არა ესაქმებათ რა.

* * *

მხატვრის საყვარელი და ყოვლის უფრო საჭირო ფერებია შავი და თეთრი.

* * *

თუ არა ზეთის საღებავები, შეუძლებელია ჰაეროვნების ეფექტის შექმნა, უიმათოდ არ შეიძლება ტილოზე სხეულის საიდუმლოს გამოხატვა, ფუნჯსა თუ ყალამს ვერ დააწერინებ ამ საიდანღაც შიგნიდან, კანქვეშიდან, ცისარტყელას ფერადოვნებით მოლივლივე საღებავთა თამაშს, ვერ დააწერინებ ვერც კიდევ ცის სილაჟვარდესა და ვერც ცისავე გამჭვირვალებასა და სიმკვრივეს — თუ არა ზეთის საღებავები, ფერწერას არ ძალუძს იმის გამოსახვა, რაც იმისავე ღირსებასა და სიქადულს შეადგენს, არც კიდევ იმისა, რასაც ის უდიდესი ბრწყინვალებით გვიჩვენებს: ცის სიღრმესა და ადამის შვილის სხეულს ვგულისხმობ.

* * *

პირველ ფუნჯის მონასმზეა დამოკიდებული, როგორი იქნება ბოლო მონასმი.

* * *

მხატვრის თვალი — ეს ერთდროულად ბრძოლის ველიც არის და უშფოთველი იდილიის სამეფოც: ზოგიერთი მხედველობითი შთაბეჭდილება არაჯანსაღი, ავადმყოფურია, ზოგიერთი კი ესიამტკბილება თქვენს მზერას, ზოგი თუ გიკვებავს თვალს, ზოგი, პირიქით, გიღლის და გიუძლურებს, და ასე შემდეგ.

* * *

როს ცა უკვე დაწერილია, შეიძლება ცისქვეშეთისთვის ხელის მოკიდება.

* * *

სუყოველ მხატვარს ცოლიც უნდა ჰყავდეს და საყვარელიც, და სამივენი მშვიდობიანად და შეთანხმებულად უნდა ცხოვრობდნენ, რახან ლაპარაკი სამთა ცხოვრებაზეა. კანონიერი ცოლი თქვენს ცხოვრებაში შემოვა, როცა თქვენ ოცი წლისა იქნებით; ის კი უკვე ათას სამას წელიწადს მოიტოვებს უკან. სახელი იმისი ფერწერაა; ღაწვები ვარდსაებრ უღაჟღაჟებს, მკერდი მკვრივი აქვს, და თქვენი ცხოვრების სულ დიდი ოცდათექვსმეტ წელიწადს მიუძღვნით. და უნდა უწყოდე, რომ ის არცროდის არ დაბერდება.

* * *

ყოვლის უფრო ჩვეულებრივმა საგნებმა ნამდვილი მხატვრის ხელში ყოვლის უფრო უცნაური სახეები უნდა შობონ.

* * *

მხატვარმა უწინარესად კარგად უნდა იცოდეს ხუროთმოძღვრება — ის იმისთვის ხელოვნების სუყოველ სხვა სახეობაზე უმნიშვნელოვანესია და ბევრად მაღლა დგას, მხატვართა უბოროტესი მტრის — მუსიკისგან განსხვავებით.

* * *

ფერწერა — ეს საყვარელი იერსახეა, რომელიც შენში თვალებიდან შემოდის და ყალმის წვერს წარმოსდინდება, ასევეა სიყვარულიც!

დალი გენიალურობის თაობაზე

დალი ცნება „გენიალურს“ უწინარესად თავის თავს უკავშირებდა. ამ მართლაც გენიალურ ხელოვანს ისტორიაში ცოტა ვინმე თუ მიაჩნდა ამ ეპითეტის ღირსად. მაგრამ ვინც მიაჩნდა, ისინი მუდამ იყვნენ დალისთვის შთაგონების წყარო, რაც მხატვრის შემოქმედებაში ნათლად ჩანს. იგი გენიალურობასთან წილნაყარად მიიჩნევდა გალასაც, რომლის სიყვარულითაც გამსჭვალულია დალის მთელი ნაღვაწი, მაგრამ ძალიან არ უნდა მოვტყუვდეთ, დალი ხშირად მიმართავს თვითირონიასაც კი.

ასე ამბობდა სალვადორ დალი

ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

მე რა, გენიოსი არა ვარ?

* * *

...1929 წელს უკვე გამიჩნდა გენიალურობის გრძნობა, და ისე გამიჯდა ძვალ-რბილში, რომ არცრა მეუხერხულება, როცა ამას ხმამაღლა ვამბობ.

* * *

ჯერ კიდევ საფრანგეთის რევოლუციის დროიდან გაჩნდა ეს სულელური მოდა, როს ვისაც არ ეზარება და, ალბათ, არც ერიდება, თავი გენიოსად წარმოუდგენია (რა ავლადიდების შემქმნელია, იმას არ უყურებს), არადა, სუყოველი ბევრი დანარჩენივით ჩვეულებრივი მოკვდავია.

* * *

რასაც მთვრალი ფიქრობ, გენიალური გგონია, და გამოფხიზლებულს სინდისი გქენჯნის, თუკი ის გაქვს!

* * *

...გენიოსის ყოველდღიური ცხოვრება, აღტყინება-ზეაღმაფრენა, ფრჩხილ-ბრჭყალი, თვით ციებაც და სიცოცხლე თუ სიკვდილი, ძირფესვიანად განსხვავდება ყოველივესგან, ადამიანთა მოდგმის დანარჩენ ნაწილს რაც მოსდის.

* * *

მე გენიოსი ვარ, გენიოსთ კი შიმშილით სიკვდილი უწერიათ.

* * *

მე სულ უფრო და უფრო ხშირად მნათლავენ მეტრად, მაგრამ ყოვლის უფრო გენიალურია, რომ ეს ჩემი ოსტატობა განსაკუთრებით ჭკუიდან მოდის.

* * *

აკადემიკოსთ განსაკუთრებულად იმის მერე ვაფასებ, რაც ერთმა ყოვლის უფრო სახელგანსმენილმა ესპანელმა აკადემიკოსმა, სიბრძნისმეტყველმა ეუხენიო მონტესმა, სიამოვნების მომგვრელი სიტყვები მითხრა — მეც აკი მუდამ გენიოსად მიმაჩნდა თავი. მან თქვა: „სუყოველ ადამიანთაგან დალი ყველაზე ახლოს არის რაიმონდ ლულიოს მთავარანგელოზის იერსახესთანო“.

* * *

კრიტიკა ამაღლებული რამ არის. კრიტიკოსობა მხოლოდ გენიოსთა საქმეა.

* * *

გუშინ 9 სექტემბერი იყო, და ჩემი გენიალურობის აღრიცხვა დავიწყე, ნახვა მინდოდა, იზრდება თუ არა-მეთქი, ციფრი ცხრა ხომ ჰიპერკუბის უმაღლესი კუბიკური ხარისხია. ყველაფერი ისეა, როგორც საჭიროა.

* * *

ფროიდის ტვინი ჩვენი ხანის ერთ-ერთი ყოვლის უფრო მიწიერი, სანუკვარი ტვინია — ეს სიკვდილის მიწიერი ლოკოკინაა. თუმცა, სწორედაც ამაში იმალება ებრაული გენიალობის ძველისძველი, ოდინდელი ტრაგედიის არსი, რომელი გენიალურობაც მუდმივად მოკლებულია სილამაზეს, ამ პირველხარისხოვან ელემენტს, უფლის სრული შეცნობის უცილობელ პირობას.

* * *

პიკასო ესპანელია, მეც ესპანელი ვარ! პიკასო გენიოსია, მეც გენიოსი ვარ! პიკასო კომუნისტია, მეც კომუნისტი არა ვარ!

* * *

პერანგზე უცაბედად ყავა დავისხი. იმათი პირველი რეაქცია, ვინც ჩემსავით გენიოსად არ დაბადებულა, ის არის, რომ მაშინვე დაიწყებენ ჩამორეცხვას, მე კი სავსებით პირიქით ვიქცევი.

* * *

უკეთუ ჩვენს დროში, რომლის თითქმის სრული უფლებით კაცუნათა ხანად მონათვლაა შესაძლებელი, გენიოსთა არსებობის გაუგონრად სკანდალური ფაქტი რომ არცვის არ აიძულებს ჩვენს ცოფიან ძაღლებსაებრ ქვებით ამოხოცვას ან აუტანელი შიმშილით სიკვდილისთვის განწირვას, ამას მხოლოდ და მხოლოდ მარტო უფალ ღმერთს უნდა ვუმადლოდეთ.

* * *

უკეთუ უარს ამბობთ ანატომიის, ნახატისა და პერსპექტივის ხელოვნების, ესთეტიკის მათემატიკის კანონებისა და კოლორისტების შესწავლაზე, უნდა გითხრათ, რომ ეს უფრო სიზარმაცის ნიშანია, ვიდრე გენიალურობისა.

* * *

ოცდაშვიდი წლისა რომ ვიყავი, რათა პარიზში ჩასვლის საშუალება მქონოდა, ლუის ბუნიუელთან ერთად ორი ფილმი შევქმენი, რომელთაც ისტორიაში სამუდამოდ შესვლა ეწერათ, ეს „ანდალუსიური ძაღლი“ და „ოქროს საუკუნეა“. იმის მერმე ბუნიუელი ცალკე მუშაობდა და სხვა ფილმები გადაიღო, რითაც ფასდაუდებელი სამსახური გამიწია, რამეთუ დამაჯერებლად უჩვენა საზოგადოებას, ვისგან მოდიოდა „ანდალუსიურ ძაღლსა“ და „ოქროს საუკუნეში“ ყოველივე გენიალური და ვისგან — ყოველივე პრიმიტიული და ბანალური.

...ადამიანი, რომელსაც ხატვაც შეუძლია და ნახშირით თავისი სურვილსამებრ ყველაფრის გამოსახვის უნარიც აქვს, თავს ღმერთის თანასწორად გრძნობს...

* * *

დღეს ხელის მოცარვის მიმართ იმდენად დიდია მიდრეკილება, რომ ოდენ სრულყოფილისა და მეტადრე უგვანობის მიჩნევა შეიძლება გენიალურად.

ოდეს შენი ფერწერის შემოდგომას მიადგები, ყალამი შენი სულ უფრო სწრაფ მოძრაობას დაიწყებს, რაც უფრო სწრაფად მუშაობას აიძულებს შენს ახალგაზრდულ გენიალურობას, როგორც მხატვრისას.

(გაგრძელება იქნება)

თუ გენიალურობას თამაშობ, ბოლოს და ბოლოს ის ხდები!

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №196-199

აკადემიკოსი იური ბუზიაშვილი:

მსოფლიოს დღეს ფარმაცევტული კომპანიები მართავენ!

ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული რუსეთის კარდიოლოგი, ჩვენი თანამემამულე, მოსკოვის ვ. ბურაკოვსკის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, აკადემიკოსი იური ბუზიაშვილი თანამედროვე მედიცინაში დამკვიდრებულ ზოგიერთ პოსტულატზე გვესაუბრება:

— ცოტა ხნის წინათ ერთ მდიდარ კაცს შევხვდი, ის იმ ერის შვილია, რომელიც სახელგანთქმულია ხანდაზმულებისადმი და, ზოგადად, ნათესავებისადმი განსაკუთრებული და გულითადი მოპყრობით. მან მითხრა, რომ ერის მთელი ისტორიის მანძილზე შვილები ინახავენ და ყოველმხრივ უზრუნველყოფენ თავიანთ ხანდაზმულ მშობლებს, სხვანაირად არც შეიძლება იყოს. ჩვენ ვიცით, რომ როგორც ხანდაზმულ დედ-მამას მოვექცევით, მომავალში იმას დაგვიბრუნებენ ჩვენი შვილები. ეს ურყევი ტრადიცია თაობიდან თაობას გადაეცემა. მაგალითად, ჩინეთში, ბოლო დრომდე, მოსახლეობის უმეტესობას პენსიას საერთოდ არ უხდიდნენ და ახალგაზრდებს მშობლების შენახვას ავალდებულებდნენ, რაც, ჩემი აზრით, სავსებით ნორმალურია. მე კი საქართველოში დავიბადე და იქ ცხოვრების 15 წლის მანძილზე არასდროს მსმენია არც ხანდაზმულთა თავშესაფრების და არც ბავშვთა სახლების შესახებ, რადგან ისინი, უბრალოდ, არ არსებობდა. ხანდაზმულთა და ბავშვთა მოვლა ყველა დროში თითოეული ქართველის უწინარესი მოვალეობა იყო. ამაში უდიდეს როლს ხალხის აზრიც ასრულებდა. ახლა ჩვენ ხშირად მაგალითისთვის ევროპულ კულტურას გვისახელებენ, არადა, საიდან წარმოიშვა იგი? ის საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდა, როცა ადამიანები თანდათანობით ითვისებდნენ საზოგადოებრივი მოქცევის ნორმებს. ამიტომ, ვფიქრობ, საჭიროა სახელმწიფო მხარში ამოუდგეს იმ ახალგაზრდებს, ვინც ხანდაზმულ მშობლებზე ზრუნავს და მათი მკურნალობის მძიმე ტვირთს ეწევა.

უწინ, საბჭოთა კავშირში უფასო მედიცინის პირობებში, ექიმი მთავრობისგან პატივდაუდებელი პროფესიის კაცი იყო, „სამადლობელს“ ხალხი უხდიდა — კონვერტში ჩადებული რაღაც თანხით, გარკვეული ნობათით, გნებავთ, მხურვალე მადლობით. იგივე მდგომარეობაა ამჟამადაც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მედიცინა უფასო აღარ არის.

თუკი კაცს ჯანმრთელობა არა აქვს, დანარჩენ ყველაფერს — ძალაუფლებას, სიმდიდრეს, დიდებას — დიდი ფასი აღარა აქვს, განწირული კაცი ყველაფრისთვის მზად არის. ამიტომაც **კერძო მედიცინა აუცილებლად უნდა არსებობდეს, მაგრამ, ამავდროულად, სათანადოდ ანაზღაურებადი სახელმწიფო მედიცინაც უნდა იყოს**. ამიტომაც, ექიმის სტატუსის ამაღლებაა საჭირო, მედიკოსებს კი დაცვა სჭირდებათ, რაც მთელი საზოგადოების ინტერესშია. დღესდღეობით ბევრ მდიდარ ადამიანს შეუძლია რომელიმე ქვეყნის ნებისმიერ კლინიკაში სამკურნალოდ წასვლა, მაგრამ ფორსმაჟორულ ვითარებაში — ავარიის, ინფარქტის ან ინსულტის შემთხვევაში დრო შეზღუდულია და ზოგჯერ უცხოურ კლინიკამდე მიღწევა შეუძლებელია. ამიტომ **ქვეყანაში აუცილებელია კვალიფიციური სამედიცინო სამსახური, ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მდგენელია ადგილობრივ მედიკოსთა შრომის ღირსეული ანაზღაურება. აბსოლუტურად იმავეს თქმა შეიძლება უმცროს და დამხმარე სამედიცინო პერსონალზე**.

მაინც რატომაა უკეთესი მკურნალობა საზღვარგარეთ, ვიდრე ჩვენთან? არა იმიტომ, რომ იქ მედიცინა უკეთეს მდგომარეობაშია ან ექიმები უფრო კვალიფიციურნი არიან, არამედ იმიტომ, რომ იქ სახელმწიფო და კერძო სამედიცინო ცენტრები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ.

უმნიშვნელოვანესი თემაა **კომპიუტერული ტომოგრაფიის** გამოყენება, რასაც უდიდესი სიფრთხილით უნდა მიუდგნენ, ვინაიდან რამდენიმე ასეთი სეანსგამოვლილი პაციენტი ერთდროულად ხიროსიმასა და ჩერნობილში ნამყოფს ემსგავსება მიღებული რადიაციული ულუფის ოდენობით. ერთი პროცედურის დროს ადამიანის ორგანიზმი იღებს 120 რენტგენს!

კიდევ ერთი პრობლემური თემაა **ფარმაკოლოგია**, დღესდღეობით ყველაზე დიდი ფული სწორედ მედიცინის ამ სფეროში ტრიალებს, ამიტომაც **დარწმუნებული ვარ, რომ მსოფლიოს ფარმაცევტული კომპანიები მართავენ!** ეს უზარმაზარი ბიზნესია, რომლის ბრუნვა ნარკოტიკებით, იარაღით, ნავთობითა და გაზით ვაჭრობასთან შესადარია. ახლა არ იკითხავთ, თუ რით არიან დაკავებულნი ეს ფარმაკოლოგიური მაგნატები? ცხადია, ისინი ახალ პრეპარატებზეც მუშაობენ, მაგრამ, ამავე დროს, ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ მათი პროდუქცია კვლავაც იყიდებოდეს. ეს სავსებით ნორმალურია, ამიტომ თითოეულმა საღად მოაზროვნე კაცმა წამლის მიღება-არმიღების ამბავი თავად უნდა გადაწყვიტოს. საამისოდ კი მეტად მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ ყოველი აბი გახლავთ მეტად კონცენტრირებული ქიმიური შემადგენლობა! არადა, არ არსებობს წამალი, რომელსაც თანდაყოლილი უკუეფექტი არ ახლდეს — ან კუჭ-ნაწლავზე, ან ღვიძლზე, ან შარდსადინარებზე, ან ფსიქიკაზე და კიდევ, უამრავ ორგანოზე უარყოფითად მოქმედებს. ამდენად **ნებისმიერი მედიკამენტის მიღებას გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებიც. ამიტომაც, აბების მიღებას მე ქიმიოთერაპიას ვუწოდებ.**

ბოლოს ერთი საგულისხმო რამ მინდა მოგიყვეთ: **ძველ ჩინეთში საოჯახო ექიმს გასამრჯელოს მანამდე უხდიდნენ, ვიდრე პაციენტი ჯანმრთელად იყო, ხოლო როგორც კი ავად ხდებოდა, ექიმი გასამრჯელოს გარეშე რჩებოდა.** აი, მესმის საქმისადმი სწორი მიდგომა!

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

...უშენოდ სიცოცხლეც არ გვინდა!

„თბილისობა 2018“ გალაკონცერტითა და თბილისის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოებით დასრულდა

ორდღიანი დღესასწაული „თბილისობა 2018“ რევაზ ლაღიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი გალაკონცერტით და თბილისის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოებით დასრულდა. საზეიმო ღონისძიება პირველი რესპუბლიკის მოედანზე გაიმართა.

დედაქალაქის მერმა ღონისძიებაზე შეკრებილ სტუმრებს თბილისობის დღესასწაული კიდევ ერთხელ მიულოცა და ტრადიციულად, საპატიო თბილისელები დააჯილდოვა.

როგორც საზეიმო ღონისძიებაზე კახა კალაძემ აღნიშნა, საპატიო თბილისელის წოდება ენიჭებათ ადამიანებს, რომლებსაც დედაქალაქისა და საქართველოს წინაშე განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით.

„39-ე წელია, რაც ჩვენი დედაქალაქი თბილისობას აღნიშნავს. მე, როგორც ქალაქის მერი, ვისურვებდი, ის განსაკუთრებული სითბო, სიყვარული, ურთიერთპატივისცემა, რაც აქ ტრიალებს, მთელი წლის განმავლობაში იგრძნობოდეს ჩვენს ქალაქში. თბილისი მდიდარია თავისი ისტორიით, მრავალფეროვანი კულტურით, რითაც სამართლიანად ვამაყობთ. ასევე, მდიდარია წარმატებული ადამიანებით, რომლებსაც განსაკუთრებული როლი აქვთ ჩვენი ქალაქის, ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში, მის განვითარებასა და წინსვლაში“, — განაცხადა თბილისის მერმა.

საპატიო თბილისელი წელს სხვადასხვა სფეროში მოღვაწე 15 ადამიანი გახდა. საპატიო თბილისელის წოდება მიიღეს: ცნობილმა რეჟისორმა **ლანა ღოღობერიძემ**, კოსმოსური ობიექტების კონსტრუქტორმა, გენერალმა **ელგუჯა მეძმარიაშვილმა,** ჯაზშემსრულებელმა **გიული ჩოხელმა,** მოცეკვავემ და ქორეოგრაფმა **თენგიზ უთმელიძემ,** ხელოვანმა, ავტოინჟინერმა **გაიოზ კანდელაკმა,** არქიტექტურის მკვლევარმა **მაია მანიამ,** ონკოლოგმა **კონსტანტინე მარდალეიშვილმა,** გეოლოგმა **ნოდარ ცერცვაძემ,** ექიმმა **ვლადიმერ კახაძემ,** პოეტმა **თემურ ჩალაბაშვილმა,** ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში **შაბთაი ცურიმ,** მომღერალმა **ქეთი მელუამ,** მოცეკვავემ და ბალეტმაისტერმა **მიხეილ ბარიშნიკოვმა,** დირიჟორმა **ვახტანგ კახიძემ,** კომპოზიტორმა და პიანისტმა **ნიკოლოზ რაჭველმა**.

რევაზ ლაღიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილ კონცერტს სახელწოდებით **„ჩემო თბილისქალაქო“** მუსიკალურად აფორმებდა ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი ნიკოლოზ რაჭველის ხელმძღვანელობით, ხოლო სცენაზე ყველა ის მომღერალი წარდგა, რომელიც სიმღერებს გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის რეპერტუარიდან ასრულებს.

პირველი რესპუბლიკის მოედანზე გალა-კონცერტი რევაზ ლაღიძის ცნობილი სიმღერით „თბილისო“ და საზეიმო ფოიერვერკით დასრულდა.

სოხუმი და თბილისი აფხაზური არქივის აღდგენაზე ერთობლივად მუშაობენ

1992-93 წლების ომის დროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო არქივის დოკუმენტების უდიდესი ნაწილი დაიწვა. ცეცხლმა შთანთქა სამეცნიერო კერა და სოხუმის საამაყო არქიტექტურული ძეგლი დიმიტრი გულიას სახელობის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტიც. ეს მოხდა 1992 წლის 22 ოქტომბერს, გაგრაში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ, საღამოს ექვს საათზე ავტომატიანმა პირებმა არქივის შენობას ცეცხლი წაუკიდეს, ხოლო ჩასაქრობად მისული მოქალაქეები დახვრეტის მუქარით ახლოსაც არ გააკარეს. აფხაზთა განცხადებით, არქივი ქართველებმა გადაწვეს, თანაც მიზანდასახულად. ამ ბრალდების სამართლიანობას ანონიმურობის დაცვის პირობით სოხუმიდან დევნილი ზოგიერთი ოფიციალური პირიც ადასტურებს. როგორც ირკვევა, ბრძანება თამაზ ნადარეიშვილმა გასცა: ცხადია, „ცხელ გულზე“, როგორც თავად ფიქრობდა – აფხაზთა დასასჯელად. როგორც პროფესორი ჯემალ გამახარია ამბობს, სოხუმის თეატრისა და მუზეუმის გადაწვასაც აპირებდნენ და სწორედ ქართველმა მოქალაქეებმა შეაჩერეს ეს ვანდალიზმი, მაგრამ

არქივისა და ინსტიტუტის გადარჩენა ვერ მოხერხდა. პერსპექტივაში „დასჯილი“ მთელი საქართველო აღმოჩნდა: სოხუმის არქივი ხომ, იურიდიული თვალსაზრისით, საქართველოს საკუთრება იყო; არქივთან ერთად საქართველოს ისტორიის მოზრდილი ნაწილიც დავკარგეთ; რაც მთავარია, აფხაზ და ქართველ ხალხებს შორის უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა დაგროვდა, არქივის დაწვით კი პასუხების მოძიების შანსი რიგ შემთხვევებში, ალბათ, საბოლოოდ დავკარგეთ. არადა, იქ დაცული მასალები არგუმენტად ჩვენვე გამოგვადგებოდა...

მაგალითად, აფხაზები ქართველებს ძალდატანებითი ასიმილაციის პოლიტიკის გატარებაში გვადანაშაულებენ; ამბობენ, რომ სტალინის პერიოდში აფხაზური სკოლები იხურებოდა და აფხაზებს მასობრივად ქართველებად წერდნენო. ის დოკუმენტები კი, რომლებიც ამ ბრალდებათა საფუძვლიანობას ან დაადასტურებდა, ან გააქარწყლებდა, იმ ვანდალური აქტის შედეგად ნაცარტუტად იქცა. ან კიდევ, რომ აფხაზეთის სასულიერო პირთა 95% ეთნიკური ქართველი იყო, მხოლოდ 1855 წელს მოხდა პირველი შემთხვევა, როდესაც მღვდლად აფხაზი ივანე გეგია აკურთხეს.

> **ამგვარად, აფხაზეთის არქივის გადაწვა – ეს იყო დანაშაული როგორც აფხაზი, ისე ქართველი ხალხის წინაშე და ისტორიის გადასახედიდან – ბურთი საკუთარ კარში.**

ხანძრის შედეგად უამრავი ფასდაუდებელი მასალა სამუდამოდ დაიკარგა: საცავებში ინახებოდა 17 ათასი ბეჭდური ერთეული, ხელნაწერი, ფოტო და დოკუმენტური კადრები, რომელშიც ასახული იყო აფხაზეთის ისტორია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან: რუსეთის იმპერიასთან შეერთება, მუჰაჯირობა, განათლებისა და ჯანდაცვის მდგომარეობა კოლონიზაციის შემდეგ, აფხაზეთის მოსახლეობის წეს-ჩვეულებანი, დოკუმენტაცია სოხუმის ეპარქიაში შემავალი სასულიერო დაწესებულებების საქმიანობაზე, ცნობები რეგიონის სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე, აგრეთვე საბჭოთა პერიოდის ამსახველი უნიკალური დოკუმენტაცია და ისტორიული ღირებულების მქონე პირადი არქივები. არქივთან აგრეთვე არსებობდა სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკა, რომელშიც უამრავი ისტორიული საცნობარო ლიტერატურა და გაზეთები იყო თავმოყრილი.

თუმცა არქივის შენობის გვერდზე მდგომ ორ ეკლესიაში შენარჩუნდა სარეზერვო ფონდი და დღეს, იმ ტრაგედიიდან 25 წლის შემდეგ, ქართული მხარის დახმარებით მისი ციფრულ სისტემაზე გადაყვანის პროცესი მიმდინარეობს.

როგორც ოკუპირებული აფხაზეთის საარქივო სამმართველოს ხელმძღვანელი **რომან ღვინჯია** აცხადებს, თავის დროზე, არქივის გადაწვისას ეს ეკლესიები ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა გადაარჩინეს – უმნიშვნელოვანესი საარქივო მასალების ნაწილიც ამის წყალობით შენარჩუნდა.

– ამ ეკლესიებში თავის დროზე გადაზიდეს ე.წ სარეზერვო-საადაზღვევო ფონდი – ის დოკუმენტები, რომელიც ყველაზე დიდ ფასეულობას წარმოადგენდა და არაბეჭდურ მატარებლებზე (მიკროფილმებზე), ფოტოფირზე) იყო გადატანილი. ამ ყველაფერმა დღემდე მოაღწია. ომის შემდეგ ეს მასალები ეკლესიებიდან ახალ შენობაში გადავიტანეთ. იმხანად არც ვიცოდით, რა ინფორმაციას შეიცავდნენ ისინი, ვინაიდან ამ დოკუმენტებს აღწერა არ ახლდა – იგი ხანძრის დროს ძველ შენობაში დაიწვა. ამდენად, შეგვეძლო მხოლოდ გვევარაუდა, რომ ამ დოკუმენტებში უნდა ყოფილიყო მე-19 საუკუნის ბოლოს – მე-20 საუკუნის დასაწყისის, იგივე აფხაზეთის სახალხო საბჭოს, ასევე ჟანდარმერიის სამმართველოს საბუთები, – ამბობს ღვინჯია.

მისი თქმით, ომის დასრულების შემდეგ მუშაობა ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა: გროვდებოდა დოკუმენტები კერძო პირებისგან, სახელმწიფო სტრუქტურებისგან, თუმცა სარეზერვო ფონდს ვერ ეხებოდნენ, რადგან ამით შესაძლოა, საერთოდ გაენადგურებინათ – ის ხომ იმ დროისთვის უკვე სავალალო მდგომარეობაში იყო. ამიტომაც გადაწყდა, ეს საქმე „უკეთეს დროებამდე“ დაკონსერვებულიყო იმ იმედით, რომ დროთა განმავლობაში გამოჩნდებოდა შესაბამისი დაფინანსება და აღჭურვილობა. „უკეთესი დროება“ მხოლოდ 2011-12 წლებში დადგა, როცა აფხაზური არქივის დახმარების სურვილი ჩეხებს გაუჩნდათ.

> **– „2011-12 წლებში პრაღიდან ჩეხეთის არქივის სპეციალისტები ჩამობრძანდნენ, მათ შორის – თავად არქივის ხელმძღვანელიც, რომელიც მანამდე თბილისში იმყოფებოდა. მან ჩვენთან რამდენიმე ლექცია წაიკითხა და გაგვესაუბრა, ჩვენც ჩვენი პრობლემის შესახებ ვუამბეთ. მოგვიანებით ეს საკითხები ოფიციალურ დონეზეც დავაყენეთ, უპირველესად – საგარეო საქმეთა სამინისტროში. მოგეხსენებათ, ამ დროისთვის უკვე ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების პროცესი იყო დაწყებული და გაჩნდა შესაძლებლობა, ქართული მხარისთვისაც მიგვემართა“,** – ამბობს ღვინჯია.

ამასთანავე, მისივე ინფორმაციით, აფხაზური ეკონომიკის, კულტურის, ისტორიის შესახებ ძალიან ბევრი დოკუმენტი საქართველოში ინახება:

> **– მაგალითად, ქუთაისის არქივში ბევრი დოკუმენტია, რადგან იქ იყო საგენერლო-საგუბერნატორო და გროვდებოდა გარკვეული საბუთები თუნდაც ლოჯისტიკის, ინფრასტრუქტურის თუ სხვა მიმართულებით. ჩვენთანაც იყო ბევრი ქართული ორგანიზაცია, მაგალითად, „გრუზგიპროექტი“ და სხვები, მათი ფილიალები და ისინიც საქართველოში აბარებდნენ საბუთებს...“. მისი თქმით, აფხაზური არქივის წარმომადგენლებმა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფარგლებში ოფიციალური თბილისის წარმომადგენლებს მიმართეს და განუცხადეს, „რაკი ჩვენი არქივი გადაწვით, ახლა მის აღდგენაში დაგვეხმარეთო“.**
>
> **– ქართულმა მხარემ თანხმობა განაცხადა. რაღაც მასალები მათ უკვე გადმოგვცეს, თუმცა ისინი ძირითადად კულტურასა და ეთნოგრაფიას ეხება. მოგვიანებით ჟენევის დისკუსიების ფარგლებში არქივის საკითხი ჩვენმა საგარეო უწყებამაც დააყენა და პროგრამა დაიწყო. ჩავრთეთ ჩეხი სპეციალისტები. ისინი ჩამოვიდნენ, ჩამოიყოლეს სპეციალური სკანერი, კომპიუტერი და დავიწყეთ მასალების რესტავრირება. გვსურს, ჩვენი არქივი მთლიანად ციფრულ სისტემაზე გადავიყვანოთ, ყველაფერი გავწმინდოთ და ბიბლიოთეკას დავუკავშიროთ. უკვე შექმნილია სპეციალური საიტი და თანდათან მასზე აღდგენილი მასალები განთავსდება. პირველ ეტაპზე ორი ფონდი მუშავდება: განათლების ნარკომატისა და სახალხო კომისრების აფხაზური საბჭოს. თუმცა საქმე ძალიან შრომატევადია და სულ მცირე, 3,5 წელი დასჭირდება. სულ კი ციფრულ სისტემაზე გადასაყვანია 362 ერთეული მასალა, რომელიც არქივში ინახებოდა,** – ამბობს დე ფაქტო საარქივო სამმართველოს ხელმძღვანელი.

იმ მასალებიდან, რომელიც უკვე გაშიფრულია, ღვინჯია 1918-21 წლის საბუთებს, აფხაზეთის სახალხო საბჭოს დოკუმენტებს ასახელებს. **– ახალ თაობას ვერ გაზრდი გმირული მაგალითებისა და შენი ხალხის ისტორიის ტრაგიკული ფურცლების გარეშე. ვფიქრობ, ჩვენი არქივი ყველასთვის საინტერესო იქნება“,** – დასძენს ღვინჯია.

> **თავის მხრივ, თბილისში თვლიან, რომ შესაძლებლობის ფარგლებში არქივი აუცილებლად უნდა აღდგეს. ადასტურებენ იმასაც, რომ საქართველოს საცავებში დაცულია დოკუმენტები, რომლებიც აფხაზური მხარისთვის ინტერესს წარმოადგენს. როგორც შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ძეთევან ციხელაშვილი აცხადებს, მასალათა ასლების გადაცემა 2009 წლიდან მიმდინარეობს, პროექტები საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ფინანსდება, პროცესში აფხაზური მხარეცაა ჩართული და თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.**

ამ თემაზე პროექტებს არასამთავრობო სექტორიც ახორციელებს: 2011-2015 წლებში ფონდმა „კავკასიურმა დიალოგმა“ აფხაზურ მხარეს გადასცა რამდენიმე ათასი ასლი, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის დასაწყისამდე პერიოდს მოიცავს. ეს გახლავთ დოკუმენტები და ფოტომასალები კავკასიის ომზე, აფხაზეთში რუსეთის შესვლაზე, მუჰაჯირობაზე, აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტზე და ა.შ. პროექტი პროგრამა COBERM-მა (ევროკავშირისა და გაეროს განვითარების ფონდის ინიციატივა) და ბრიტანეთის საელჩომ დააფინანსეს.

გარდა ამისა, შექმნილია აფხაზეთის ვირტუალური არქივი – AVA, რომელზეც განთავსებულია უამრავი ფოტო, ვიდეო, წიგნი, გაზეთი, ხელნაწერი, რუკა და საოჯახო არქივები. საიტი ქართულ, აფხაზურ და ინგლისურენოვანია.

> **პროექტი ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის მხარდაჭერით. მასში ჩართულები არიან: საქართველოს ეროვნული არქივი, ლიტერატურის მუზეუმი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტი, ხელოვნების სასახლე, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, შინაგან საქმეთა სამინისტრო, აფხაზური ორგანიზაციები და კერძო პირები.**

ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲡ ᲘᲬᲝᲜᲘᲡ...

ᲘᲡᲙᲠᲐ ᲚᲝᲣᲠᲔᲜᲡᲘ

ᲑᲝᲚᲝ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲤᲐᲨᲤᲐᲨᲐ ᲢᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲓᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐᲨᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲡ. ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲨᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲖᲔ ᲢᲐᲜᲬᲔᲠᲬᲔᲢᲐ ᲛᲝᲓᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲞᲝᲓᲘᲣᲛᲖᲔ 70 ᲓᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲬᲝᲜᲘᲡ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲔᲘᲠᲜᲝᲑᲓᲜᲔᲜ. ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲙᲝᲡᲛᲝᲞᲝᲚᲘᲢᲔᲜᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲑᲝᲚᲝ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲘ ᲙᲘ 155 ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲬᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲓᲔᲚᲛᲐ ᲢᲔᲡ ᲰᲝᲚᲘᲓᲔᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲛ ᲓᲐᲐᲛᲨᲕᲔᲜᲐ. „ᲛᲐᲙᲝᲪᲔᲗ ᲣᲙᲐᲜᲐᲚᲖᲔ!“ — ᲐᲡᲔ „ᲛᲝᲠᲘᲓᲔᲑᲣᲚᲐᲓ“ — ᲒᲐᲜᲣᲪᲮᲐᲓᲐ ᲢᲔᲡᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲛᲐᲡ ᲒᲐᲡᲘᲔᲑᲣᲚ �გᲝᲛᲑᲔᲨᲝᲓ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲔᲡ. ᲔᲡ ᲪᲘᲢᲐᲢᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲖᲔᲐ ᲒᲐᲛᲝᲢᲐᲜᲘᲚᲘ...

ᲖᲝᲛᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ „ᲢᲐᲜᲡᲠᲣᲚ“ ᲢᲝᲠ-ᲛᲝᲓᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ **ᲤᲐᲨᲤᲐᲨᲐ** ᲖᲔᲛᲝᲗ ᲜᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘ **ᲢᲔᲡ ᲰᲝᲚᲘᲓᲔᲘᲐ**: 164 ᲡᲐᲜᲢᲘᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ 136 ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲡ ᲬᲝᲜᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲢᲐᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲛᲔᲢᲠᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲐᲥᲐᲛᲓᲔ „ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲐᲓ“ ᲛᲘᲩᲜᲔᲣᲚ 90-60-90 ᲡᲐᲜᲢᲘᲛᲔᲢᲠᲡ (ᲛᲙᲔᲠᲓᲘ — ᲬᲔᲚᲘ — ᲗᲔᲯᲝᲔᲑᲘ — Ო.Ტ.) ᲑᲔᲕᲠᲐᲓ ᲐᲦᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲓᲐ 119-103-130-ᲘᲐ. ᲢᲔᲡᲘ ᲐᲛᲐᲧᲘᲐ, ᲠᲝᲛ „ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲓᲔᲚᲘᲡ“ ᲢᲘᲢᲣᲚᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘᲐ. 33 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲛᲐᲜᲓᲘᲚᲝᲡᲜᲘᲡ ᲡᲮᲔᲣᲚᲘ ᲚᲐᲛᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲐᲓᲐᲐ ᲛᲝᲡᲕᲘᲠᲘᲜᲒᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲝᲓᲔᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲐᲖᲔ ᲘᲒᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑᲓᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲡᲐᲕᲔ ᲡᲐᲛᲝᲓᲔᲚᲝ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝᲓᲐᲜ ᲘᲒᲘ ᲛᲝᲣᲠᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲣᲙᲐᲜᲕᲔ ᲒᲐᲐᲑᲠᲣᲜᲔᲡ — ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲑᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲡ ᲞᲝᲓᲘᲣᲛᲘ ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲨᲘ ᲗᲣ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲡᲘᲖᲛᲠᲔᲑᲝᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲢᲔᲡᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲡ ᲐᲠ ᲘᲨᲚᲘᲓᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲣᲠᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲙᲘ 2010 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲓᲒᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲝᲓᲐᲨᲘ „ᲤᲣᲜᲗᲣᲨᲐ ᲛᲝᲓᲔᲚᲔᲑᲘ“ ᲨᲔᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ.

ᲢᲔᲡ ᲰᲝᲚᲘᲓᲔᲘ

— ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘ ᲭᲙᲣᲐᲡ ᲙᲐᲠ�გᲐᲕᲔᲜ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲝᲑᲘᲡᲒᲐᲜ, — ᲘᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲐ ᲢᲔᲡᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲘᲜᲡᲢᲐ�გᲠᲐᲛᲨᲘ 1,7 �მᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲮᲔᲚᲛᲝᲛᲬᲔᲠᲘ ᲰᲧᲐᲕᲡ(!). — ᲩᲔᲛᲘ ᲡᲘᲛᲡᲣᲥᲜᲔ ᲒᲐᲦᲘᲖᲘᲐᲜᲔᲑᲗ? ᲛᲘᲛᲘᲤᲣᲠᲗᲮᲔᲑᲘᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲬᲧᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ! ᲩᲔᲛ ᲡᲮᲔᲣᲚᲡ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲤᲣᲚᲐ, ᲩᲔᲛᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲘ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲐᲥᲕᲡ. ᲐᲡᲝ ᲠᲝᲛ, ᲐᲛᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲔᲒᲣᲗᲝᲗ!

„ᲤᲣᲜᲗᲣᲨᲐ ᲛᲝᲓᲔᲚᲔᲑᲨᲘ“ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ **ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘᲐ** 175 ᲡᲐᲜᲢᲘᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲘᲡ **ᲔᲨᲚᲘ ᲒᲠᲔᲛᲘ,** ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲛᲔᲢᲠᲔᲑᲘᲐ 107-76-117, ᲬᲝᲜᲐ ᲙᲘ 91 ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲘ. ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲤᲝᲠᲑᲡᲘᲡ“ ᲕᲔᲠᲡᲘᲘᲗ, ᲨᲐᲠᲨᲐᲜ 30 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲐᲓᲘ ᲛᲐᲜᲔᲙᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲗᲔᲣᲚᲨᲘ ᲨᲔᲕᲘᲓᲐ, ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ 5,5 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲛᲣᲨᲐᲕᲐ. ᲘᲒᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲡᲣᲥᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ „ᲡᲞᲝᲠᲢ ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲔᲘᲢᲔᲓᲘᲡ“ ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲡᲐᲑᲐᲜᲐᲝ ᲙᲝᲡᲢᲘᲣᲛᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲦᲚ. ᲔᲡ ᲬᲐᲑᲚᲘᲡᲤᲔᲠᲗᲛᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲘ 54 ᲖᲝᲛᲘᲡ ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲔᲚᲡ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ, ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐᲡ ᲣᲬᲔᲕᲡ ᲡᲐᲑᲐᲜᲐᲝ ᲙᲝᲡᲢᲘᲣᲛᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲪᲕᲚᲔᲑᲡ „ᲢᲐᲜᲡᲠᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“.

— ᲓᲘᲔᲢᲐ — ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲐᲐ, — ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲔᲨᲚᲘ, — ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲡᲐᲭᲛᲔᲚᲨᲘ ᲗᲐᲕᲡ ᲐᲠ ᲕᲘᲖᲦᲣᲓᲐᲕ. ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲨᲘ ᲠᲝᲛ �გᲐᲓᲐᲕᲔᲓᲘ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲕᲐᲠᲒᲘᲡ ᲙᲐᲪᲔᲑᲡ ᲕᲐᲠᲩᲔᲕᲓᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲛᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲐᲕᲘᲧᲕᲐᲜᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲡ ᲕᲣᲗᲮᲐᲠᲘ: „ᲨᲔᲜ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲮᲐᲠ ᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲢᲐᲜᲘ �გᲐᲘᲕᲡ!“ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲨᲚᲘ ᲒᲠᲔᲛᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲐ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲡ, ᲗᲕᲘᲗᲨᲔᲒᲜᲔᲑᲐᲛ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲐ!

ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲐᲓ ᲢᲐᲜᲡᲠᲣᲚ ᲛᲐᲜᲔᲙᲔᲜᲔᲑᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ **ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚᲘ** ᲙᲘ 80 ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲘ ᲬᲝᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ 173 ᲡᲐᲜᲢᲘᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲘᲡ **ᲘᲡᲙᲠᲐ ᲚᲝᲣᲠᲔᲜᲡᲘᲐ,** ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲛᲔᲢᲠᲔᲑᲘᲐ 97-84-109 ᲡᲐᲜᲢᲘᲛᲔᲢᲠᲘ. ᲘᲒᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲛᲘᲖᲐᲜᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲪᲣᲠᲕᲐᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ �გᲣᲜᲓᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗᲐᲪ �გᲐᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ. 13 ᲬᲚᲘᲡ ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲗᲕᲐᲚᲔᲑᲐ, ᲥᲔᲠᲐᲗᲛᲘᲐᲜ ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲡ „ᲗᲕᲐᲚᲘ ᲓᲐᲐᲓᲒᲔᲡ“ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ „ᲔᲚᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲛᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲐᲜ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲬᲠᲐᲤᲘᲗ ᲒᲐᲡᲣᲥᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ, ᲠᲐᲪ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲰᲝᲠᲛᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲓᲘᲔᲢᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲨᲕᲔᲚᲝᲓᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲛᲐ ᲒᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲡᲙᲠᲐᲛ ᲤᲐᲠ-ᲮᲛᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲧᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲚᲔ ᲛᲡᲣᲥᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲜᲐᲝ ᲙᲝᲡᲢᲘᲣᲛᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ.

ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ 28 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲡᲙᲠᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲛᲝᲓᲔᲚᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲬᲝᲜᲘᲡ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲘᲢᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲪᲐᲐ.

ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ
ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

ᲔᲨᲚᲘ ᲒᲠᲔᲛᲘ

ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲨᲘ

ᲐᲛ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲒᲔᲝᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘᲐ 9-12, 15-18, 21-24 ᲓᲐ 31 ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲨᲘ. ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘᲐ ᲪᲘᲙᲚᲝᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲫᲐᲠᲘᲨᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲑᲐ, ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲘᲫᲜᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲕᲐᲠᲘᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲮᲓᲔᲜᲘᲡ ᲠᲘᲡᲙᲘ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲡᲝᲪᲘᲣᲛᲨᲘ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲬᲕᲐᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲔᲘᲡᲛᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ.

9 — ᲐᲮᲐᲚᲛᲗᲕᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲓᲨᲘ. ᲛᲝᲡᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘᲐ ᲐᲢᲛᲝᲡᲤᲔᲠᲣᲚᲘ ᲬᲜᲔᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲰᲐᲔᲠᲘᲡ ᲢᲔᲛᲞᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲓᲝᲑᲐ. �გᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲔᲞᲠᲔᲡᲘᲘᲡ ᲛᲝᲫᲐᲚᲔᲑᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘ, ᲐᲠᲢᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲬᲜᲔᲕᲘᲡ ᲜᲐᲮᲢᲝᲛᲘᲡᲔᲑᲠᲘ ᲪᲕᲚᲐ. ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲐ ᲗᲘᲠᲙᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲡᲢᲔᲝᲥᲝᲜᲓᲠᲝᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲬᲕᲐᲕᲔᲑᲐ. ᲛᲝᲔᲠᲘᲓᲔᲗ ᲗᲘᲠᲙᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲪᲘᲔᲑᲐᲡ. ᲓᲦᲔ ᲐᲠᲐᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲬᲐᲛᲝᲡᲬᲧᲔᲑᲐᲓ, ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲗᲐ ᲒᲐᲡᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲗᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲚᲐᲓ, ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲢᲔᲑᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲠᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲬᲧᲔᲑᲐᲓ.**

10 — ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲐ ᲛᲝᲠᲘᲔᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲓᲨᲘ. �გᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲧᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ. ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘᲐ ᲣᲐᲠᲘᲡ ᲗᲥᲛᲐ ᲐᲚᲙᲝᲰᲝᲚᲘᲡ, ᲪᲮᲘᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲐᲠᲔ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲖᲔ. ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲝᲔᲠᲘᲓᲔᲗ ᲡᲢᲠᲔᲡᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲡᲘᲐᲛᲝ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲡ, ᲓᲐᲪᲔᲛᲐᲡ, ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲗ Მ�გᲖᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡᲐᲡ �გᲐᲛᲝᲘᲩᲘᲜᲔᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔ.**

11 — ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲐ ᲕᲔᲜᲔᲠᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲝᲠᲘᲔᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲓᲨᲘ. ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘᲐ ᲘᲛᲣᲜᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲥᲕᲔᲘᲗᲔᲑᲐ, ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ, ᲐᲜᲒᲘᲜᲐ. ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲐᲚᲙᲝᲰᲝᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲖᲔ ᲣᲐᲠᲘᲡ ᲗᲥᲛᲐ, ᲛᲝᲔᲠᲘᲓᲔᲗ ᲑᲔᲕᲠᲘᲡ ᲭᲐᲛᲐᲡ, ᲣᲐᲠᲘ ᲗᲥᲕᲘᲗ ᲩᲐᲠᲝᲖᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲙᲑᲘᲚᲔᲣᲚᲖᲔ. ᲐᲠᲐᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲔᲜᲐᲓ, ᲝᲯᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲬᲧᲝᲑᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲖᲔ ᲮᲔᲚᲛᲝᲡᲐᲬᲔᲠᲐᲓ.**

12 — ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲣᲞᲘᲢᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲐ ᲛᲝᲠᲘᲔᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲓᲨᲘ. ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲝᲐ ᲨᲐᲠᲓᲛᲓᲔᲜ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲗᲐ, ᲬᲘᲜᲐᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲯᲘᲠᲙᲕᲚᲘᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ, ᲤᲐᲠᲘᲡᲔᲑᲠᲘ ᲯᲘᲠᲙᲕᲚᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲨᲚᲐ. ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲑᲣᲐᲡᲘᲚᲘᲡ, ᲗᲘᲐᲥᲐᲠᲘᲡ, ᲬᲘᲜᲐᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲯᲘᲠᲙᲕᲚᲘᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲗᲐ �წᲐᲠᲛᲝᲨᲝᲑᲐ. ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲔᲗ ᲐᲚᲙᲝᲰᲝᲚᲘ, ᲪᲮᲘᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲐᲠᲔ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘ, ᲢᲙᲑᲘᲚᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲣᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲛᲪᲮᲕᲠᲘᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ. ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲔᲗ ᲐᲚᲙᲝᲰᲝᲚᲘ, ᲪᲮᲘᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲐᲠᲔ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘ, ᲢᲙᲑᲘᲚᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲣᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲛᲪᲮᲕᲠᲘᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ. ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲐ ᲗᲘᲠᲙᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘ, ᲐᲠᲢᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲬᲜᲔᲕᲘᲡ ᲜᲐᲮᲢᲝᲛᲘᲡᲔᲑᲠᲘ ᲪᲕᲚᲐ. ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲐ ᲗᲘᲠᲙᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲡᲢᲔᲝᲥᲝᲜᲓᲠᲝᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲬᲕᲐᲕᲔᲑᲐ. ᲛᲝᲔᲠᲘᲓᲔᲗ ᲗᲘᲠᲙᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲪᲘᲔᲑᲐᲡ. ᲓᲦᲔ ᲐᲠᲐᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲐᲪᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲖᲔ.**

15 — ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲐ ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲓᲨᲘ. �გᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲣᲭᲜᲐᲬᲚᲐᲕᲗᲐ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐᲗᲐ �წᲐᲠᲛᲝᲨᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲐᲠᲓᲘᲡ ᲑᲣᲨᲢᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲨᲚᲐ.

◎ ტრიუმფი

ნიკამ ჩინეთიც „აიღო“

ნიკოლოზ ბასილაშვილი კარიერის პიკზე იმყოფება. შეგახსენებთ, რომ ჩვენებურმა ჩინეთის ღია პირველობის ფინალში ხუან მარტინ დელ პოტრო 6:4, 6:4 დაამარცხა და წლეულს და, ზოგადად, კარიერაშიც მე-2 ხუთასიანი კატეგორიის ტურნირი მოიგო.

26 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა პირველ ნომრად განთესილ მეტოქესთან შვიდივე ბრეიკ-პოინტი გადაარჩინა, თავად კი არგენტინელის 11 ეისს არ შეუშინდა და მისი მოწოდება 2-ჯერ აიღო. შედეგად, ნიკოლოზმა რეიტინგის ტოპ-ხუთეულის წევრი პირველად დაამარცხა, არგენტინელმა ვარსკვლავმა კი კარიერაში მე-13 ფინალი წააგო, თუმცა, ატპ-ს ფინალურ ტურნირში თამაში მაინც გაინაღდა.

ცნობისთვის, ბასილაშვილი ჩინეთში რჩება და ძალებს შანხაის მასტერსზე მოსინჯავს, რომლის საპრიზო ფონდი 9 219 970 დოლარია. ნიკოლოზს საკმაოდ რთული წილისყრა ერგო, რადგანაც საწყის წრეში კანადელ დენის შაპოვალოვს გაეჯიბრება, გამარჯვების შემთხვევაში კი ძალებს მე-4 ნომრად განთესილ გერმანელ ალექსანდრ ზვერევთან მოსინჯავს.

საინტერესოა, რომ წყვილთა შეჯიბრში ნიკოლოზის პარტნიორი რუსი დანიილ მედვედევი იქნება, რომელმაც ტოკიოს ტურნირის ფინალში იაპონელი კეი ნიშიკორი დაამარცხა. ქართველი და რუსი ჩოგბურთელები პირველ რაუნდში „უაილდ ქარდის“ მქონე ჩინელებს – მაო-ქსინ გონგსა და ზე ჟანგს გაეჯიბრებიან.

შანხაის მასტერსის პირველი წრის დაძლევისთვის 45 სარეიტინგო ქულაა გათვალისწინებული, მისი გამარჯვებული კი 1000 ქულას მიიღებს. შეგახსენებთ იმასაც, რომ ნიკოლოზმა პეკინში 500 ქულა გამოიმუშავა და რეიტინგში, რომელიც დღეს გამოქვეყნდება, მისთვის რეკორდულ 23-ე პოზიციაზე ვიხილავთ.

გეჟან დოლიძე

◎ ლეგიონერი

„რეალთან“ – საუკეთესო

ესპანური „უნიკახას“ ქართველი ცენტრი გიორგი შერმადინი მიმდინარე სეზონში სასტარტო ხუთეულში პირველად გამოჩნდა და მადრიდის „რეალთან“ მატჩში მალაგელთაგან საუკეთესო იყო.

„უნიკახამ“ ესპანეთის ჩემპიონატის მე-3 ტურის შეხვედრა 82:89 წააგო, შერმადინმა კი მოედანზე 20 წუთი გაატარა და 13 ქულა, 3 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა. გიორგიმ 8-დან 5 ორქულიანი და 3-ვე საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი ააცილა, ბურთი ერთხელ დაკარგა, არ დაჯარიმებულა, მის წინააღმდეგ კი 4-ჯერ დაჯარიმდნენ. შედეგად, ქართველი ლეგიონერის სარგებლიანობის კოეფიციენტი 15-ს გაუტოლდა და ეს „უნიკახას“ რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი იყო. „რეალის“ რიგებში გამორჩეული ვალტერ ტავარეში გახლდათ 14 ქულითა და 11 მოხსნით, ფაკუ კამპაცომ კი 13 ქულას 5 პასი წაამატა.

მალაგელებს 2 მოგება და 1 მარცხი მოუგროვდათ და მე-5 ადგილზე არიან, შემდეგი შეხვედრა კი „გრან კანარიასთან“ ელით.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ძველი გვარდია

წიქარიძე მსოფლიოს ჩემპიონია!

ვეტერანი ქართველი ფალავანი ზურაბ წიქარიძე (100 კგ.) რუსეთის ქალაქ პერმში მიმდინარე ბერძნულ-რომაული ჭიდაობის მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

მან პირველ წრეებში თურქებს – მუსტაფა ლაგაფსა და ბულენთ ჰიკმეთს წმინდად აჯობა, მეოთხედფინალში რუმინელი კოსტელ ჟუნკუ 8:0 დაამარცხა, ნახევარფინალში კი იმავე ანგარიშით რუს სერგეი უსტინოვს აჯობა. გადამწყვეტ შერკინებაში წიქარიძის პირისპირ კიდევ ერთი რუსი ალექსანდრ არხანგელსკი დადგა, რომელსაც ჩვენებურმა 4:1 სძლია და მსოფლიო პირველობის გამარჯვებული მესამედ გახდა.

კოგა კოგახიძე

◎ ეგზოტიკა

5 მედალი პლაჟიდან

თურქეთის ქალაქ სარიგერმეში დასრულდა მსოფლიოს პირველობა საპლაჟო ჭიდაობაში, სადაც ჯემალ კილაძის გაწვრთნილმა საქართველოს ნაკრებმა 2 ოქროს, 2 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა.

საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ჩვენი ნაკრები ტურნირზე 6 მონაწილით იყო წარდგენილი, საიდანაც ხუთმა მედლის მოპოვება შეძლო. მსოფლიოს ჩემპიონები კოტე ხაბალაშვილი (70 კგ.) და იაკობ მაქარაშვილი (80 კგ.) გახდნენ. ორივე ქართველმა ფალავანმა ფინალში უკრაინელი მოწინააღმდეგეები დაამარცხა: კოტემ – სემიონ რადულოვი, ხოლო იაკობმა – ვასილ მიხაილოვი.

ვერცხლის მედლები ირაკლი მწითურმა (90 კგ.) და ახალგაზრდული ნაკრების წარმომადგენელმა თორნიკე ქათამაძემ (60 კგ.) დაიმსახურეს. ბრინჯაოს მედალს კი ჯაბა ყველაშვილი (80 კგ) დაეუფლა. საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა 79 ქულით მესამე ადგილი დაიკავა. აღნიშნული ასპარეზობა პირველი სალიცენზიო ეტაპი გახლდათ 2019 წელს სან დიეგოში (აშშ) გასამართი მსოფლიო ქვიშის თამაშებისათვის.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფეხბურთი

პრობლემებს რა გამოლევს

მაშ ასე, სწრაფად გავიდა ერთი თვე და სანაკრებო ციებცხელებამ ისევ წინა პლანზე გადმოიწია. გუშინ საქართველოს ნაკრები შეიკრიბა და ერთა ლიგის მატჩებისთვის მზადება დაიწყო.

შეიძლება ითქვას, ეს გარდამტეხი მომენტია, რადგან ვლადიმირ ვაისის გუნდმა საწყისი ორი მატჩი მოიგო და ახლაც თუ მოახერხებს წარმატებით გამოსვლას, დიდი შანსია, ჯგუფიდან გასვლა ვადაზე ადრე გაინაღდოს. თუმცა, ამისთვის ორივე შეხვედრის მოგება იქნება საჭირო. მოდით, ახლა იმაზე ვისაუბროთ, როგორ მდგომარეობაშია ეროვნული ნაკრები და ის ფეხბურთელები, რომელთა მხრებზეც გადაივლის მომდევნო ორი პრინციპული თამაში. ვაისმა 26 ფეხბურთელს უხმო, მათგან ორი კი უკვე მოისაკლისა. აბა, ისე, როგორ იქნებოდა, რომ ტრავმებისგან თავი აგვერიდებინა. გიორგი პაპუნაშვილი და ლევან მჭედლიძე სლოვაკის განკარგულებაში ამ ჯერზე ვერ იქნებიან. ეს ძალზე ცუდია, რადგან მოცემულ ვითარებაში თითოეული მოთამაშის ფასი განუზომლად დიდია.

და მაინც, რა ხდება დანარჩენი 24 ფეხბურთელის თავს? – მოდით, ვაღიაროთ, რომ მთლად სახარბიელო ვითარება ვერ გვაქვს. გაცილებით კარგ ფორმაში გვახსოვს ქართველი ფეხბურთელები, ვიდრე ბოლო ერთი თვის განმავლობაში არიან.

მეკარე

გიორგი ლორია უკლუბოდაა. მართალია, „დინამოში“ ვარჯიშობს, მაგრამ ეს დიდი ვერაფერი ნუგეშია. ლორია უთამაშებელი შეხვდა ერთი თვის წინანდელ ფანჯარასაც და, საუბედუროდ, არაფერი შეცვლილა. სამაგიეროდ, თამაშობენ ლაზარე კუპატაძე და როინ კვასხვაძე, მაგრამ ვაისისთვის ეს ორი მეკარე მხოლოდ სათადარიგო არჩევანია.

დაცვა

ვერც აქ გვაქვს იდეალური მდგომარეობა. გურამ კაშია და სოლომონ კვირკველია, ტრადიციულად, სათამაშო პრაქტიკას არ უჩივიან, მაგრამ საუკეთესო კონდიციებში ნამდვილად არ იმყოფებიან. მაგალითად, „სან ხოსემ“, რომლის ღირსებას კაშია იცავს, უკანასკნელი 8 მატჩიდან 7 წააგო და 25(!) გოლი გაუშვა. ეს, ყველაფერზე მეტყველებს. სეზონი არც „ლოკომოტივისთვის“ და კვირკველიასთვის დაწყებულა კარგად და ქართველი ფეხბურთელიც ისეთი დამაჯერებელი ვერაა, როგორც შარშან. იგივე ითქმის ოთარ კაკაბაძეზე, რომელიც „ლუცერნში“ ახალი გადასულია და უკვე თამაშობს, მაგრამ ჯერ ადაპტაციის პერიოდს გადის. სამწუხაროდ, წარმატებულად დაწყებული სეზონი ცუდად გრძელდება დავით ხოჭოლავასთვის. მან „შახტარის“ სასტარტოში ადგილი დაკარგა და ბოლოს მოედანზე 19 სექტემბერს იყო, როცა ჩემპიონთა ლიგაზე ითამაშა. სტაბილურად თამაშობენ ჯიმი ტაბიძე, გიორგი ნავალოვსკი და ლაშა დვალი.

ნახევარდაცვა

ნახევარდაცვის ხაზშიც რთული მდგომარეობა მოსჩანს. მართალია, ბევრს სათამაშო პრაქტიკა აქვს და ტონუსშია, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ გამორჩეულად ჩაატარეს ბოლო პერიოდი. კაპიტანი ჯაბა კანკავა, ალბათ, საუკეთესოც იყო. სტაბილურად თამაშობენ ოთარ კიტეიშვილიც, ნიკა კვეკვესკირიც, გიორგი აბურჯანიაც, ვახტანგ ჭანტურიშვილიც...

აი, ვაკო გვილია კი ბოლო დროს ვერაა კონდიციებში –. „ლუცერნში“ მწვრთნელისგან ნდობასაც ვერ გრძნობს და სათამაშო დროც მკვეთრად შეეზღუდა. აგერ, მაგალითად, ბოლო ტურში, „იანგ ბოიზთან“ 90 წუთი სკამზე გაატარა მაშინ, როდესაც ორი თვის წინათ, პირველ წრეში იმავე „იანგ ბოიზს“ გოლიც გაუტანა. ვაკო ყაზაიშვილი „სან ხოსეს“ ლიდერია, მაგრამ, სამწუხაროდ, წელს „სან ხოსე“ ძალიან ცუდი და სუსტი გუნდია. თანაც, ბოლო ტურებში ვაკოც ვეღარ თამაშობს შედეგიანად. გიორგი მერებაშვილმაც ბოლო სამ შეხვედრაში დაკარგა პლოცკის „ვისლას“ სასტარტოში ადგილი, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ სასურველ კონდიციებში არაა.

სამაგიეროდ, თამაშობს გიორგი ჩაკვეტაძე. მართალია, „გენტი“ კრიზისშია, მაგრამ ქართველი ამ გუნდის ნათელი წერტილია და ისევ გვეიმედება მისი. იმედს ვამყარებთ თორნიკე ოქრიაშვილზეც, რომელსაც ბოლო ორ თამაშში ოდენ 20 წუთი დაეთმო, მაგრამ დაამტკიცა, რომ ფეხბურთის თამაში შეუძლია. „სევილიასთან“ მისი შედეგრი ლატვიასთან გამარჯვების შემდეგ, ალბათ, საუკეთესო ქართული საფეხბურთო ამბავი გახლდათ. ჯანო ანანიძე ორი კვირის წინათ დაბრუნდა, თასზე 10 წუთი ითამაშა, აქტიურიც იყო, მაგრამ მერე აღარ გამოჩენილა. მასიმო კარერამაც აღნიშნა, რომ 90 წუთისთვის მზად არაა. შესაბამისად, ვაისიც ვერ გარისკავს. საუკეთესო კონდიციებისგან რომ შორსაა, ვეჭვობთ, ამას ახსნა-განმარტებაც აღარ სჭირდება. აი, სამაგიეროდ, ლუკა ზარანდიაა მაგარ კონდიციებში. ტურიდან ტურამდე უმატებს და პოლონეთის ჩემპიონატში გამორჩეულია. ერთი ეგაა, რამდენად დაეყრდნობა ბოლომდე სლოვაკი სპეციალისტი, რადგან ლუკა ეროვნულ ნაკრებში დებიუტანტია. ვაისს კი ერთი ხელისმოსმით დებიუტანტთა ნდობა ნამდვილად არ სჩვევია.

ფორვარდი

აქ ვაისს არჩევანი, უბრალოდ, არ აქვს. გიორგი ქვილითაია მძიმე ტრავმის გამო თავიდანვე გამოირიცხა. მერე სლოვაკმა ლევან მჭედლიძე და ნიკა კაჭარავა გამოიძახა. ლევანმა თამაშიც დაიწყო, თითქოს კონდიციებსაც იბრუნებდა, „მილანთან“ აქტიურად ჩაერთო, მაგრამ... კვლავ დაშავდა. და, დარჩა კაჭარავა, ფეხბურთელი, რომელიც ნამდვილად რთულ პერიოდს განიცდის. კვიპროსის ჩემპიონატის მიმდინარე სეზონში ნიკამ 5 თამაში ჩაატარა, მაგრამ ხუთჯერვე ცვლილებაზე გამოჩნდა მოედანზე და ჯამში მხოლოდ 58 წუთი გაატარა მინდორზე.

რა თქმა უნდა, ამ წერილით არ გვსურს ბნელ ფერებში შევმოსოთ სიტუაცია, პირიქით, გვინდა, რომ რეალობას არ ავცდეთ, რაც ხშირად დამღუპველია ხოლმე. ერთი რამ ცხადია – შანსი გვაქვს და უნდა გამოვიყენოთ. ანდორისა და ლატვიის ნაკრებების დამარცხება, თუნდაც სასურველი კონდიციებისგან შორს მყოფ საქართველოს ნაკრებს რომ შეუძლია, ამაზე დავაც არ ღირს. უბრალოდ, მეტოქეც უნდა დავაფასოთ და შევაფასოთ კიდეც.

კარგად დაწყებული საქმე კარგად უნდა გაგრძელდეს!..

გიორგი ზოთაძე

სანთელი

„მადლი ქენი, ქვაზე დადე, გაივლი და წინ დაგხვდება“

ირაკლი ყანჩელი

კიდევ ერთი გამორჩეული ადამიანი გამოეცალა იმ სასახელო ქართველ მეგზევეთა ელიტას, ვისაც არც ძალა დაუშურებია, არც ცოდნა-გამოცდილება და თავისი ყოველდღიური რუდუნებით წარუშლელი კვალი დატოვა საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და განვითარების, ამ დარგის სპეციალისტების აღზრდისა და დასაქმების საქმეში.

ირაკლი ყანჩელი დაიბადა 1938 წლის 4 თებერვალს მეგზევე ინჟინრის ოჯახში. 1961 წელს დაამთავრა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი (ამჟამინდელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) ხიდებისა და გვირაბების სპეციალობით და განვლო გზა ოსტატის თანამდებობიდან ტრესტის მმართველამდე.

ამ ხნის მანძილზე ირაკლი ყანჩელის ე.წ. „სამშენებლო მოედანი“, ფაქტობრივად, მთელი საქართველო იყო, მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით არაერთი სახიდე გადასასვლელია აგებული და საავტომობილო გზაა გაყვანილი ქვეყნის, ფაქტობრივად, მთელ ტერიტორიაზე. მათ შორის, არაერთი ობიექტია აგებული დედაქალაქში.

გარდა ამისა, მეტად მნიშვნელოვანი იყო ბატონი ირაკლის ხელმძღვანელობით მეზობელ სომხეთში და საჩხერის რაიონში მიწისძვრით დაზიანებული საავტომობილო გზების აღდგენა-მშენებლობის სამუშაოთა წარმოება.

1994 წლიდან მოყოლებული, ვიდრე 2000 წლამდე, ირაკლი ყანჩელი რუსეთში, კერძოდ, ქ. მოსკოვში მოღვაწეობდა, სადაც შექმნა კერძო სამშენებლო ფირმა და იქ დაასაქმა ბევრი ქართველი მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტი.

2004 წელს, დააფუძნა შპს „გზამშენპროექტი“, შემოიკრიბა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამოცდილი ინჟინრები ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო მომსახურების შესასრულებლად.

ირაკლი ყანჩელმა მრავალწლიანი ნაყოფიერი საქმიანობისთვის მრავალი სახელმწიფო ჯილდო დაიმსახურა: საპატიო საკავშირო სიგელი „პირველი ყამირელი“ (ყამირის ათვისებისათვის); საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელი; „საპატიო ნიშნის“ მედალი და ორდენი; „საპატიო გზის მუშაკის“ და „მშენებელი რაინდის“ წოდება; სამი გარდამავალი წითელი დროშა საკავშირო გამოფენებზე; „შრომის ვეტერანის“, ასევე „ხალხთა მეგობრობის“ და „დიდების“ ორდენები; იყო საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის წევრი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ირაკლი ყანჩელის კოლეგებთან, საინჟინრო-ტექნიკურ პერსონალთან, რიგით მუშებთან თბილი, საქმიანი და, ამავე დროს, მეგობრული დამოკიდებულება, რომელიც დიდი კოლექტივის თითოეულ წევრზე ზრუნვით გამოისახებოდა. ფასდაუდებელია ის წვლილი, რაც ბატონ ირაკლის აქვს ჩადებული საგზაო დარგის ახალგაზრდა სპეციალისტების პროფესიული ზრდისა და ჩამოყალიბების საქმეში. ბევრი მათგანი დღეს პირნათლად ხელმძღვანელობს საგზაო ორგანიზაციებსა და სამსახურებს.

შპს „გზამშენპროექტის“ თანამშრომლები დიდი გულისტკივილით ვიუწყებით მამულიშვილობასა და მეგობრობაში გამორჩეულის პროფესიონალის, ჭეშმარიტი ქართველის, სათაყვანებელი ადამიანის ირაკლი ყანჩელის გარდაცვალებას და თანაგრძნობას ვუცხადებთ მისი ოჯახის წევრებს.

ჩვენ ძალიან გვიყვარდით, ბატონო ირაკლი!

უფალმა დაგიმკვიდროთ მარადიული სასუფეველი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

შპს „გზამშენპროექტი“

სიცრუეზე დაფუძნებული ოქუაშვილის ბრალდებები

TBC Bank-ის გენერალური დირექტორი ვახტანგ ბუცხრიკიძე ბიზნესმენ ზაზა ოქუაშვილის განცხადებას ეხმაურება, რომელმაც გადაცემა „კვირის აქცენტებში“ ბანკის მიერ დაშვებულ კანონდარღვევებზე ისაუბრა.

„ბოლო პერიოდის განმავლობაში უსამართლო ბრალდებები ხშირად გაისმის პირადად ჩემ მიმართ, ასევე „თიბისი ბანკის“ სახეების მიმართ, მაგრამ ჩვენ გვაქვს თმენის ვალდებულება და არასდროს ვრეაგირებთ ამ ბრალდებებზე. მეორე მხრივ, ვიცავთ კონფიდენციალურობას. მაგრამ გუშინ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ბატონმა ოქუაშვილმა ჩვენი თანამშრომლები მოიხსენია.

მე მოგიყვებით იმ ტრანზაქციის შესახებ, რომელიც 2 კვირის განმავლობაში სალაპარაკო თემა გახდა. ეს კომპანია არის ქართული და დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში 2016 წლის 19 აპრილს ყველა წესის დაცვით. ამავე დღეს იუსტიციის სახლის ფილიალში გაიხსნა საბანკო ანგარიში. წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით „თიბისი ბანკს“ იდენტიფიცირებული ჰყავს კომპანიის ბენეფიციარი მფლობელები.

რაც შეეხება ტყუილებს სამუშაო საათებთან დაკავშირებით, მარჯანიშვილის ფილიალი გახსნის დღიდან მუშაობს დილის 09:00 საათიდან საღამოს 21:00 საათამდე. ტყუილია, რომ ამ ტრანზაქციის განხორციელებისათვის სპეციალურად მოხდა ფილიალის გახსნა. კლიენტმა თანხა ჩარიცხა 2016 წლის 20 აპრილს შვეიცარიიდან. 21 აპრილს ტრანზაქცია დაწყებულია 19:22 საათზე, ხოლო დასრულებულია 19:43 საათზე. კომპანიის დირექტორის მოთხოვნით, შესაბამისი თანხა მოვამზადეთ და ჩვენი თანამშრომლები დაუკავშირდნენ კლიენტს, რომ თანხა მზად იყო გასაცემად. ეს იყო სატელეფონო კავშირის მიზეზი. რეალურად თანხა გაიცა 22 აპრილს 13:01 საათზე, ანუ ანგარიში გახსნილია და მომსახურება გაწეულია პროცედურების სრული დაცვით. სამწუხაროდ, ტყუილს აქვს ადგილი და ინტერპრეტაცია მოხდა სხვანაირად“, — განაცხადა ბუცხრიკიძემ.

გაუფრთხილებლობა, თუ...

თვითმხილველთა ინფორმაციით, თბილისში, ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შენობიდან შუშა ჩამოვარდა. ამჯერად, შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია და არც ვინმე დაშავებულა. შეგახსენებთ, რომ ამავე შენობიდან გადმოვარდნილმა მინამ, 2018 წლის 28 თებერვალს 14 წლის ბიჭის სიცოცხლე იმსხვერპლა.

სანთელი

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამავე უნივერსიტეტის დამფუძნებლის, პროფესორ გურამ თავართქილაძის ვაჟის

გურამ თავართქილაძის (უმცროსი)

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 9, 10 ოქტომბერი;

მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. №111;

გამოსვენება: 11 ოქტომბერი, 14 სთ. ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ეკლესიიდან.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზ. №39ა (სამედიცინო უნივერსიტეტთან).

ელიზბარ ლომინაძე, თენგიზ კალანდაძე, მურიკო თოფურიძე გულისტკივილით იუწყებიან აწ გარდაცვლილი მეგობრის გურამ თავართქილაძის შვილის

გურამ თავართქილაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ უდიდეს მწუხარებაში მყოფ დედას, ქალბატონ ლიას და სხვა ჭირისუფალთ.

კუს ტბის საზოგადოების წევრები თანაუგრძნობენ მეგობარს ოთარ ზუმბურიძეს დის

ლალი ზუმბურიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს.

ხსოვნა

მეუღლე ინეზა ზარანდია, შვილები ნინო, პაატა, ძმა ვალერი ჭანტურია, სიძე ენუქი მანია, შვილიშვილები გიორგი, მიხეილ მანიები, ძმისშვილები თამარ, რუსუდან ჭანტურიები, რძალი მიმოზა შენგელია, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გოგი ანდროს ძე ჭანტურია

მისამართი: წალენჯიხა, რუსთაველის ქუჩა №39;
დაკრძალვა: ხუთშაბათს, 11 ოქტომბერს, გამოსვენება 15 საათზე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კვების მრეწველობის ღვაწლმოსილი მუშაკი, წლების მანძილზე წალენჯიხის პურკომბინატის დირექტორი

გოგი ჭანტურია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

წალენჯიხის ყოფილი პურკომბინატის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან კომბინატის დირექტორის

გოგი ჭანტურიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

ვალერი ჭანტურია დიდი მწუხარებით და გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაეცვალა ძმა

გოგი ანდროს ძე ჭანტურია

წალენჯიხის სიმღერისა და ცეკვის რაიონული ანსამბლი „ბედინერა“ დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა ანსამბლის ყოფილი წევრი, საქმით და მეგობრობით გამორჩეული პიროვნება

გოგი ჭანტურია

და გულწრფელად თანაუგრძნობენ მის მეუღლეს, ქალბატონ ინეზა ზარანდიას და შვილებს ნინო და პაატა ჭანტურიებს.

საუკეთესო მასწავლებელი
მანანა კაპეტივაძე – ბაღდათიდან

ქალაქ ბაღდათის პირველი საჯარო სკოლის ინგლისური და რუსული ენების მასწავლებელი მანანა კაპეტივაძე გახდა მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს 2018-ის გამარჯვებული. გამარჯვებულს ჯილდო საზეიმო ვითარებაში განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა გადასცა. გარდა ამისა, მას საჩუქრად გადაეცემა ათი ათასი ლარი.

ის ასევე მონაწილეობას მიიღებს გლობალური ჯილდოს (The Global Teacher Prize) კონკურსში, რის შესახებაც ამ ორგანიზაციის პრეზიდენტმა ქალბატონმა Sanel Patel-მა განაცხადა, რისთვისაც ის სპეციალურად ჩამოფრინდა ინგლისიდან. უნდა ითქვას, რომ ეს არ არის მანანა კაპეტივაძის პირველი წარმატება, 2003 წელს განათლების სფეროში მიღწევებისთვის მას მიღებული აქვს ღირსების ორდენი.

მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით ჯილდოს გადაცემის ცერემონია 5 ოქტომბერს გაიმართა.

როგორც ჯილდოს დამფუძნებლებმა განაცხადეს – „მასწავლებლის ეროვნული ჯილდო“ მიზნად ისახავს წარმატებული მასწავლებლების გამოვლენას, საზოგადოებისთვის მათ წარდგენას და ამ გზით პედაგოგის პროფესიის პრესტიჟის ზრდას.

ეროვნული ჯილდოს მოსაპოვებლად 700-ზე მეტმა მასწავლებელმა შეიტანა განაცხადი. კომპეტენტურმა ჟიურიმ მეორე ეტაპზე 10 საუკეთესო გამოავლინა, მესამე ეტაპზე 5 საუკეთესო შეირჩა, ხოლო ამ ხუთეულიდან გამოავლინეს გამარჯვებული. ათივე ფინალისტს სხვადასხვა წამახალისებელი საჩუქრები გადაეცა.

რევაზ თოფურია

„7 მილიონი მოქალაქე იარაღს მიიღებს“
– ლუკაშენკო ომისთვის ემზადება?

ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ ბრესტის ოლქში სამხედრო პოლიგონი მოინახულა, სადაც განაცხადა, რომ ომის შემთხვევაში ყველა მცხოვრები, გარდა ბავშვისა, იარაღს მიიღებს. „ხუმრობით არ მითქვამს, რომ თუ ჩვენ საკმარისი სასროლი იარაღი გვექნება, ავტომატები, ტყვიამფრქვევები და ტყვიაწამალი – ღმერთმა არ ქნას, დაიწყოს ომი, ჩვენ იარაღს ყოველ ოჯახს დავურიგებთ. ჩვენ დავიცავთ სამშობლოს. ბავშვებს და მოხუცებს სამშვიდობოზე გავიყვანთ, ქალებიც კი, 7 მილიონი ადამიანი, დიახ, 7 მილიონი მიიღებს იარაღს“, – განაცხადა ლუკაშენკომ.

100 წლის გაზეთი
თქვენს დახმარებას ითხოვს

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ქაღალდისა და ბეჭდვის ფასების ზრდის გამო ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

ფიქრთ გასართველად
სხვათაგან თქმული

რაც უფრო უვითარდებათ ადამიანებს არა ერთი და ორი უნარი, მით უფრო საჭირო ხდება სისხლის სამართლის კოდექსის სრულყოფილება.

* * *

ზოგი მავნე ჩვეულება ხან მარგებელია, თუ ის ჩვეულება შენს მტერს ეკუთვნის.

* * *

თუ ხელები გღალატობენ, ფეხები მოიშველიე.

* * *

განვითარდი! ამებამ განვითარების ისეთ დონეს მიაღწია, რომ დაყოფა-დანაწევრებით მრავლდება.

* * *

სიმართლე ეს ისეთი რამ არის, რის ცოდნაც გინდა, მაგრამ არ გინდა დაჯერება.

* * *

სიცრუით შორს ვერ წახვალ, მაგრამ ღრმად შეტოპავ.

* * *

სკლეროზი თუ გაგიჩნდა, მოგონებები ვეღარ შეგაწუხებენ.

* * *

ცხოვრება ჭკუას იმას ასწავლის, ვინც ცხოვრებას სწავლობს, ხოლო უფრო მეტად იმას ასწავლის, ვისაც ცხოვრების სწავლა ფეხებზე ჰკიდია.

* * *

ოლიგარქები ჭარბ უმცირესობას ეკუთვნიან.

* * *

რატომ ახრჩობთ თავისუფლებას, თუკი უბრალოდ წართმევა შეიძლება?!

* * *

როგორიც ტვინია, პრობლემებიც ისეთივეა.

* * *

გედნიერი ხარო, ამის შთაგონება ადამიანისთვის ბევრად ადვილია, ვიდრე იმისი გაბედნიერება.

* * *

ჭკუასუსტობა ერთადერთი ისეთი პათოლოგიაა, რაც უფრო მძიმეა, მით უფრო ადვილი გადასატანია.

* * *

ძუნწი წელში წყდება ქისიდან კუპიურის ამოღებისას.

* * *

ომში ყველაფერს ითმენენ, დამარცხებასაც კი.

* * *

წარსულის გადაწერა ადვილი საქმეა, განსაკუთრებით იმ დროში, როცა დამწერლობა არ იყო.

* * *

მე სხვაგვარად აზროვნების მომხრე ვარ, თუ შენ წინააღმდეგი არა ხარ.

* * *

ნუ აკაკუნებ – ექო დაგასმენს!

* * *

ნიჯი მიწაში დაფლეს, ახლა რწყავენ.

* * *

ისინი თავიანთსას ხელს არ უშვებენ და სხვისას არ იძლევიან.

* * *

ვისაც ბევრი მიეცი, კიდევ უფრო მეტსა და მეტს მოითხოვს.

* * *

ცუდ მსახიობს ხელს ხელები უშლიან.

– ექიმო, გვიშველეთ რა, ჩვენც ბიჭი გამოგვიყვანეთ, ვალში არ დავრჩებით...

დაზუსტება

„საქართველოს რესპუბლიკის“ შაბათის ნომრის (6 ოქტომბერი) მე-3 გვერდში დაბეჭდილ წერილში „რაც კი რამ მყრალია პიპინია ბიძია, ჩვენი ტელევიზიაა!“, მეორე სვეტის ბოლო აბზაცის მე-8-9 სტრიქონები უნდა იკითხებოდეს ასე: **„ამ ნანინანატრ ქალბატონს ისეთი გეზელა ქორი ეჯდა პირდაპირ...“** – შემდეგ როგორც ტექსტშია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6186; ევრო - 3.0117;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4152;
100 რუბლი - 3.9742; თურქული ლირა - 0.4245;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5444;
1000 სომხური დრამი - 5.3892.

ამინდი 9 ოქტომბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +7, დღე +27
მთიანი რაიონები - ღამე +4, დღე +24
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +12, დღე +27
მთიანი რაიონები - ღამე +7, დღე +25
თბილისი: ღამე +11, დღე +25

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge